ლამპარი

თფილისი

შაბათი, 20 (4) ივნისი.

1906

წელიწადი პირველი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

№ 46

ყოველ-დღიური გაზეთი.

№ 46

ბათუმში მთავრობის აგენტები მოუწოდებენ ქართველებს, ებრაელებს და სომხებს ერთმანეთის ამოსაჟლეტათ.—ბელოსტოკში პოლიციელები განაგრძობენ „პოგრომს".—„პოგრომები"-თ დაშინებულნი მრავალი ფაბრიკანტები უარს ამბობენ კრედიტით ვაჭრობაზე.—სახელმწიფო დუმის მამადიანების ფრაქცია თავის ოფიციალურ ორგანოთ აცხადებს გაზ. „რეჩ"-ს.

რედაქციისაგან:

აგენტების საყურადღებოთ. რედაქცია სთხოვს თავის აგენტებს ანგარიშის გასწორება დააჩქარონ.

ხელის მომწერთა საყურადღებოთ. რედაქცია აცნობებს ქალაქ გარეთელ ხელის მომწერლებს, რომ ხელის მოწერა მიიღება **ქუთაისში** „კოლხიდა"-ს კანტორაში ი. კვიცარიძესთან; **ბათუმში** მიხ. კალანდაძესთან და **ოზურგეთში** მოსე ტულუშთან.

ქ. თფილისში ხელის-მოწერა **მხოლოდ რედაქციაში** მიიღება. **რედაქცია პასუხს აგებს იმ ხელის-მომწერთა წინაშე, რომლებიც პირდაპირ რედაქციის კანტორაში მოიტანენ ფულს.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „ЛАМПАРИ".

„ლამპრის" რედაქციაში იყიდება ძველი გაზეთების ქაღალდი. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ რედაქციის კანტორაში.

(10—6)

დღეს გამოვიდა ახალი ყოველ დღიური სოციალდემოკრატიული გაზეთი.

ახალი ცხოვრება

გაზეთი ღირება: თფილისში წლიურათ 5 მ. თვიურათ 50 კ., ქალაქგარეთ—6 მან. 60 კ. ცალკე ნომერი ყველგან 3 კაპ.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ. Семеновская ул. № 4.

ამ ორი თვის წინეთ დაიკარგა თფილისის ტრამვაის კონდუქტორი

კონსტ. იმნაიშვილი

ნიშნები: მაღალი ტანის, შავი თმა, წვერს იპარსავს, ჰკუაზე შეშლილია. გთხოვთ ვინც იცით ან შეხვდეთ გააგებინოთ ლანჩხუთში ილარიონ მახარაძეს. ხარჯს ვკისრულობ.

(10—1)

მომენტის შესახებ.

დიდი მომენტი ახლოვდება... მეხს ჯერ არ დაუჭექნია, ქარიშხალი ჯერ არ ამოვარდნილა, მაგრამ ჰაერი უკვე მეტის-მეტათ შემძიმებულია, ატმოსფერა გაჟღენთილია ელექტრონით და ეს აფრთხილებს გონებას და ამღელვარებს გრძნობას... მღელვარება იზრდება როგორც სოფლათ, ისე ქალაქათ. მღელვარება ვრცელდება თვით ჯარებშიაც. სალდათებ შორის „კრამოლა" ასე არასოდეს არ ყოფილა ფესვებ გადგმული, როგორც დღეს. და რამდენათაც იზრდება ხალხის მოძრაობა, იმდენათვე მთავრობის სფეროში იზრდება ყოყმანი, გაუბედაობა, რყევა. პეტერგოფის სასახლეში ერთი მეორის საწინააღმდეგო რეზოლიუციებზეა ლაპარაკი: „დუმა უნდა დაუყოვნებლივ გავრეკოთ!", „დუმამ უნდა განაგრძოს თავისი მოქმედება!" ერთავათ ისმის მეფის სასახლეში. რომელ გადაწყვეტილებას დაადგება მთავრობა? დუმის გარეკვა ლოღიკურათ უფრო შეესაბამება მთავრობის პოლიტიკას, მარა დღეს არავისთვის არ არის საეჭვო, რომ მისი სისრულეში მოყვანა აუცილებლათ ნიშნავს მოქალაქობრივ ომის გამოცხადებას. ეს კარგათ იცის თვითონ მთავრობამ; ამიტომაც მან უკვე ნიადაგი მოსინჯა ხალხის ძალ-ღონის გასაგებათ. ამ მიზნით ბელოსტოკში და სხვაგან მოახდინა პოგრომები და იმპერიის ყველა კუთხეში აამოძრავა თვისი აგენტები, რომელნიც ყველა საშუალებებით, დაუღალავათ ეწევიან საზიზღარ აგიტაციას, მცხოვრებთა ერთ ნაწილს აქისინებენ მეორეზე ხოცვა-ჟლეტის გასამართავათ.

მაგრამ მთავრობა ყველა მხარეში აწყდება გაცნობიერებულ ხალხს, რომელიც არა თუ მის პროვოკატორულ ანკესზე აღარ ეგება, პირიქით რევოლიუციონურ შეგნებით აღჭურვილი მოუთმენლათ ელის ხელსაყრელ მომენტს მთავრობასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ასატეხათ. მთავრობა ხედავს, რომ დღეს დუმის გარეკვა გამოიწვევდა ისეთ რევოლიუციონურ ქარტეხილს, რომელიც ძირს დაამხობდა არა მარტო ბიუროკრატიის თვითმპყრობელობას, არამედ თვით მეფის ტახტსა და იმის დინასტიასაც. აი ამიტომ პეტერგოფის სასახლეში გაისმის: „დუმამ უნდა განაგრძოს თავისი მოქმედებაო". მაგრამ დუმის მოქმედება ყოვლად შეუძლებელი ხდება გორემიკინის სამინისტროსთან ერთათ... ამ ბოლო დროს დაჟინებით დადის ხმები, ვითომ უმაღლეს მთავრობას უკვე გადაეყენებინოს ეს სამინისტრო. ასეთივე ხმა ამ ორი დღის წინათ მოგვიტანა კერძო დეპეშებმა პეტერბურგიდან. აქ, რასაკვირველია, არაფერია დაუჯერებელი; ჩვენის აზრით ეს ხმა დღეს თუ ხვალ უნდა გამართლდეს კიდეც.

რუსეთის ისტორიას შეიძლება არც კი ახსოვს ისეთი საბრალო და საცოდავი მთავრობა, როგორიც არის გორემიკინის სამინისტრო, და მის საცოდაობას ქმნის თვით დღევანდელი პოლიტიკური ვითარება. გორემიკინ-სტიშინსკი იმასვე ემსახურებიან, იმასვე აკეთებენ, რასაც აკეთებდნენ პლევე, დურნოვო და ძმანი მისნი. მაგრამ გორემიკინის მთავრობას სრულებით არ შესწევს ის ენერგია და პირდაპირობა, რასაც ასე სასტიკათ ატრიალებდენ მისი წინამოადგილენი. გორემიკინის მთავრობას დუმის დეპუტატები და მასთან იმპერიის მთელი ხალხი, თითქმის ყოველ დღე დასძახიან: „კაინ, კაინ, რათა გაქვს ხელები სისხლში გასვრილი, შე საზიზღარო"! გორემიკინი და მისი ამხანაგები შეჩვენებულნი გარბიან სახელმწიფო დუმის დარბაზიდან—მართალია ჯერ-ჯერობით გარბიან მხოლოდ იმიტომ, რომ მეორე დღეს, როგორც ხელმწიფის ერთგული მოსამსახურენი, კვლავ გამოიჭიმონ მინისტრთა სავარძლებში.

თავ-ზარ დაცემული სამინისტრო შიშისაგან თრთის და კანკალებს, მას აღარ შეუძლია აშკარა და პირდაპირი მოქმედება, ამიტომ იგი ჩუმათ, მალულათ—პროვოკატორების დახმარებით—აწყობს თავის ბნელ საქმეებს. ის, რაც მან აშკარათ და პირდაპირ ჩაიდინა, მხოლოდ მის წინააღმდეგ შეტრიალდა. ასე მაგ. 13 მაისის სულელურ დეკლარაციამ დიდი რევოლიუციონური როლი ითამაშა შინაურ პოლიტიკაში და მანვე მთავრობას თავს ლაფი დაასხა საზღვარ გარეთ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „მეგობარ" საფრანგეთის ცნობილი სწავლული და რუსეთის კარგათ მცოდნე ლერუა-ბოლიე, მიმართულებით კონსერვატორი, რომელიც ამას წინათ პეტერბურგში იყო, მმართველთა სფეროში თავისუფლათ დაიარებოდა და სხვათა შორის ხანგრძლივათ ემუსაიფა თვით გორემიკინს—აი ეს ლერუა-ბოლიე პარიჟში დაბრუნებისას პრესაში, თუ საზოგადოებაში ხმამაღლა ლაპარაკობდა გორემიკინის სამინისტროს ყოვლად უვარგისობაზე, ურიგობაზე; მასთან დასძენდა, რომ ერთათ ერთი გზა მთავრობას ის დარჩენია, რომ დაუთმოს დუმასო.

გორემიკინის სამინისტროს „მოღვაწეობამ" უფრო და უფრო ძირს დასცა რუსეთის ფონდი საზღვარ გარეთის ბირჟაზე და არამც თუ ახალ სესხის აღება არის შეუძლებელი, ძველი სესხის, დაპირებულ 800 მილიონის აღებაც მეტად გასაჭირი და ერთობ საეჭვო ხდება. გორემიკინის სამინისტრო უფრო კიდევ ნაყოფიერი იყო შინაურ პოლიტიკაში. ამის სულელურ დეკლარაციებმა და მხეცურ მოქმედებამ მაღლა ასწია ხალხის რევოლიუციონური შეგნება; გლეხობას მან გაუთვალისწინა ის აზრი, რომ მთავრობისაგან ის ვერ მიიღებდა ვერც მიწას და ვერც თავისუფლებას; და რომ უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო ამ მთავრობის თავიდან მოშორება. დუმა ებრძოდა და ებრძვის ამ მთავრობას; თავის თავად ცხადია, რომ ხალხის მთელი თანაგრძნობა დუმისაკენ უნდა გადასულიყო. დიახ, გორემიკინის სამინისტრომ საუცხოვოთ ხელი შეუწყო ხალხის რევოლიუციონურ ზრდას; მან ეს ხალხი სალ კლდესავით შემოარტყა სახელმწიფო დუმას; დუმა გადააქცია იმ სიმაგრეთ თუ სოოპერაციო ბაზისათ, საიდანაც რევოლიუციამ უნდა დაანგრიოს თვითმპყრობელობის უკანასკნელი ბასტილია.

უმაღლესი მთავრობა კარგათ ხედავს რომ გორემიკინი და კომპ. არსებობის თვითეული დღე ბეჯითათ აახლოებს რევოლიუციის გამარჯვებას და აი ამიტომ, რა კი როგორც ზევით შევნიშნეთ აშკარაა ომიანობის დაწყებაც მისთვის მეტათ საშინელია, ერთათ ერთი გზა მთავრობას ის ღა დარჩენია. რომ დუმას დაუთმოს და გორემიკინის კაბინეტი სამსახურიდან გადააყენოს. ახალ სამინისტროს შედგენით რუსეთში დაიწყება რევოლიუციის ახალი ეტაპი...

დღეს დღეობით კი, მთელს იმპერიაში იზრდება მღელვარება, გატანჯულ-გაწამებულ ხალხს მოთმინება ეკარგება, და მოუსვენრათ ისწრაფის გადამწყვეტ ბრძოლის ასატეხათ. ჩვენი ვალია ხალხის მოძრაობაში შევიტანოთ, რაც შეიძლება მეტი პოლიტიკური შეგნება, რაც შეიძლება, მეტი ორგანიზაცია. შეგნებულ პროლეტარიატს მუდამ მაღლა უნდა ეჭიროს სოციალდემოკრატიის ბაირაღი.

ბათუმის ამბები

გუშინ წინ ბათუმიდან ჩვენ შემდეგი წერილი მივიღეთ: „ამხანაგებო! როგორც შეგატყობინეთ ამას წინეთ მოკლეს კაზაკების აფიცერი. მთავრობამ ისარგებლა ამით და იწყო ხულიგანური აგიტაცია კაზაკებს შორის. რამდენიმე ადგილას ამის შედეგმა უკვე იჩინა თავი. კაზაკები ცდილობენ როგორმე ხალხი საბრძოლველათ გამოიწვიონ. ქუჩებში ხალხს ქვებს ესვრიან. ბარცხანაში და გოროდოკში რამდენიმე ადგილას დუქნები გაძარცვეს. შედიან სამიკიტნოში, თვრებიან, ამტვრევენ ყველაფერს და ფულსაც ართმევენ. რამდენიმე ადგილას მცხოვრებნი კიდეც გალახეს. ერთი სიტყვით, მოხდება ის, რასაც ჩადიოდენ კაზაკები ნოემბრის პოგრომების წინ. მცხოვრებლები ძლიერ დაშინებულნი არიან. გელით ბელოსტოკის ამბების განმეორებას. შეატყობინეთ ჩვენი მდგომარეობა ჩვენს დეპუტატებს. აქ არავითარ დეპეშებს არ იღებენ".

ამ წერილზე ჩვენ ამხ. ჟორდანიას დუმაში შემდეგი დეპეშა გავუგზავნეთ: „ბათუმში კაზაკთა სოტნიკის მოკვლის შემდეგ „პოგრომები" მზადდება. მცხოვრებნი დაშინებულნი არიან. საჭიროა დაუყოვნებლივ ზომების მიღება".

—

გუშინ კიდევ მივიღეთ შემდეგი წერილი.

მდგომარეობა ყოველი წუთით მწვავდება. დღეს გასვენეს დიდი ამბით აფიცერი. მღვდელმა იმ ადგილზე, სადაც აფიცერი მოკლეს, სიტყვა წარმოსთქვა, რევოლიუციონერები და მათი მოქმედება დაგმო, გასვენების შემდეგ სალდათებში გაავრცელეს ფურცლები, რომელსაც „კაზაკი" აწერდა ხელს. იქ მოხსენებულია სხვათა შორის, რომ ქართველები და სომხები ცდილობენ კავკასია ჩამოაცილონ რუსეთს, ის კავკასია, რომლის დამორჩილება და დაცვა ასე ძვირი დაგვიჯდა ჩვენო. ფურცელში აგრეთვე გალანძღულია არტილერისტები, საპიორები და ნაღმოსნები. მათ უწოდებენ ხელმწიფის და სამშობლოს მოღალატეს, ქართველების და სომხების არაფით მოიყიდულებს. მოინანიეთ ცოდვებით, ურჩევს ფურცელი, ამიტომ კა საჭიროა დასცხოთ კრამოლნიკებსო „смерть крамольникамъ", აი რითი თავდება ფურცელი. ქალაქის თავი იყო გუბერნატორთან, ფურცელიც აჩვენა და სთხოვა მიიღე ზომები მოქალაქეების დასაცავათო. გუბერნატორმა განაცხადა, რომ მან კარგათ იცის პოგრომის მოხდენას რომ აპირობენ, მაგრამ მას არაფრის გაკეთება არ შეუძლია, რადგან ჯარი აღარ უსმენს. გუშინ ქალაქში პატრულები დადიოდენ, დღეს პატრულები მოხსნეს. ქუჩაში ხალხი ვერ გამოდის. ბევრ ადგილას დუქნები დახურულია.

„ზარიას" რედაქციამ დეპუტატ რამიშვილის სახელზე ტელეგრამა გაგზავნა. ტელეგრამას აგზავნიან აგრეთვე ბათუმელი ამომრჩევლები.

დუმა და ხალხი

9 ივნისს, ვანის საზოგადოებაში (ქუთაისის მაზრა) მოხდა მრავალ-რიცხოვანი მიტინგი. კრებამ შემდეგი დეპეშა გაგზავნა სათათბიროში გომართელის სახელზე: „ჩვენ, ვანის საზოგადოების მცხოვრებლებმა, მოვილაპარაკეთ რა დღევანდელ ჭირ-ვარამზე და საზოგადო პოლიტიკურ მდგომარეობაზე, სალამს გიძღვნით მუშათა დეპუტატებს; იბრძოლეთ მედგრათ. მოითხოვეთ ამნისტია, მიწა და თავისუფლება, სახალხო დამფუძნებელი კრება. არ შედრკეთ, იცოდეთ, რომ ხალხი თქვენთანაა, ჩვენც ყოველ გასაჭირში თქვენთან ვართ, საკმარისია თქვენი ერთი მოწოდება, რომ ჩვენც, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დავდგეთ და მთელი რუსეთის პროლეტარიატთან ერთათ ხელიხელ ჩაკიდებული იერიში მივიტანოთ ხალხის მტრებზე. იბრძოლეთ ჩვენთვის! გამხნევდით ჩვენით".

მიტინგის მონდობილობით პ. დოლიძე.

ახალი ამბები

◆ გუშინ, 19 ივნისს კავკასიის **სამხედრო-საოლქო სასამართლოში** დანიშნული იყო საქმე ვლადიმერ კაზიშვილისა, რომელსაც ვატმან ლიტვინენკოს მოკვლის განზრახვა ბრალდებოდა. მაგრამ მოწმეთა საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობის გამო საქმის გარჩევა გადაიდვა.

◆ კვირას, 18 ივნისს, ნავთლუღში 158-მდე **ჯარის-კაცთა მიტინგი გაუმართავთ** თანამედროვე ვითარებაზე მოსალაპარაკებლათ. მიტინგს უცბათ გარს დრაგუნები შემორტყმია. სალდათებს ქვების სროლა დაუწყია. ერთს დრაგუნს თოფი გაუსვრია, მაგრამ არავინ დაუშავებია. 38-მდე ჯარის-კაცი შეუპყრიათ და მიუყავდათ თურმე, მაგრამ, როგორც გადმოგვცეს, ესენი რკინის გზის ბატალიონის ჯარის-კაცებს გაუნთავისუფლებიათ.

◆ კვირას, 18 ივნისს, საღამოს 9 ნახევარ საათზე, მიხეილის პროსპექტზე შემდეგი საზიზღარი **ინციდენტი** მოხდა: რომელიღაც აფიცერი განჯის პოლკისა მივარდა ელექტრონის ტრამვაის ვაგონს № 77-ს, ჩამოიყვანა კონდუქტორი პრუდნიკი და თანმხლებ პატრულს გააჩხრეკინა. როდესაც კონდუქტორს არაფერი არ აღმოაჩნდა, აფიცერმა ცხვირ-პირში ცემა დაუწყო სრულიად უდანაშაულოთ. როდესაც პრუდნიკმა ხმა ამოიღო და თხოვა აფიცერს—რადა მცემთ, თუ დამნაშავე ვართ საკომენდატო სამმართველოში წამიყვანეო, ოფიცერმა ცემას უმატა. უწმაწურის სიტყვებით დაუწყო ლანძღვა გინება. როცა გული იჯერა ცემით, აფიცერი თავის გზას გაუდგა. პრუდნიკმა პასაჟირები ერევნის მოედნამდე მოიყვანა. ამხანაგებმა როგორც ეს ამბავი შეიტყვეს, საჩქაროთ პარკისკენ გაემართენ და მუშაობა ალკვეთეს. როგორც ამბობენ, აფიცერს მაგიერი გადაუხდია კონდუქტორისთვის, რომელსაც ნაშუადღევის 3 საათზე 1 ივნისს აფიცრისთვის წინადადება მიუცია ელისაბედის ქუჩაზე ჩამოსულიყო ვაგონიდან, რადგან ადგილი არ იყო აფიცერი მაშინ დამუქრებია კონდუქტორს. გუშინ ტრამვაის მოსამსახურეთ არ უნდოდათ სამუშაოთ გასულიყვნენ, მაგრამ ტრამვაის დირექციამ დაარწმუნა მოსამსახურენი ის აფიცერი პასუხისგებაშია მიცემულიო. გუშინ, 9 ივნისს, ტრამვაის მოსამსახურეებმა მუშაობა ისევ განაახლეს.

◆ **უსაქმოთ დარჩენილების ბიურო** იწვევს ყველას, ვინც უსაქმოთ დარჩენილების სიაშია ჩაწერილი, გამოცხადდენ: მე-2, 3 და 4 უბნებისა—პუშკინის ბიბლიოთეკის შენობაში, ალექსანდრეს ბაღში, სხვა უბნებისა კი ქალაქის გამგეობაში საშაბათს, 20 ივნისს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის პირველ საათამდე.

◆ ჩვენ გადმოგვცეს, რომ **სამეგრელოს გრენადიორთა პოლკი** დასავლეთ საქართველოში იგზავნება შავი ზღვის ნაპირების დასაცავათ.

◆ 22 ივნისს **ტფილისის სამხედრო სასამართლოში დანიშნულია საქმე მინგრელსკი პოლკის 27 ჯარის კაცისა,** რომელთაც მიმდინარე წელს აპრილის დამდეგს ხსენებულ პოლკში მომხდარ არეულობაში მონაწილეობის მიღება ბრალდებათ.

◆ სოფელ ხოვლეში (გორის მაზრა) ამ თვის ექვსს ყაზახთა რაზმი მისულა და დაბინავებულა. მიზეზი არ იციან. ხალხი შეშინებულია.

◆ გუშინ წინ ავჭალის ქუჩაზე ორ კაზაკს კონკა გაუჩერებია. ამოუღიათ ხანჯლები და დარევიათ ხალხს. ხალხი წივილ-კივილით გაქცეულა. შემდეგ მიდგომიან ალაყაფის კარებს № 21 და უნდოდათ ჩამტვრიათ, მაგრამ დაკეტილი დახვდათ. შემდეგ მეთორნესთან შევარდენ და დაამტვრიეს ყველაფერი. ერთი მათგანი გოროდოვოიმ დაიჭირა და მეორე გაიქცა.

◆ ფირალოვის ქარხნის მუშების **გაფიცვა გათავდა.** მუშებმა ბრწყინვალეთ გაიმარჯვეს.

◆ კვირას, 13 ივნისს, კავკასიის სამკურნალო საზოგადოების შენობაში მოხდა **კრება ტფილისის ფარმაცევტთა.** კრების თავმჯდომარეთ ამორჩეულმა ფარმაცევტმა სულაბერიძემ კრებას დაუყენა საკითხი თფილისში არსებულ „ფარმაცევტთა კავშირის" რეორგანიზაციის შესახებ. კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა მიმდინარე წლის 4 მარტის კანონის თანახმათ შედგენილ იქმნეს ახალი წესდება, რომლის შესამუშავებლათ ამორჩეულ იქმნა ცალკე კომისია. კომისიას დაევალა 10 დღის განმავლობაში შეიმუშაოს ხსენებული წესდება და წარუდგინოს ფარმაცევტთა კრებას. კომისიაში ამორჩეულ იქმნენ: შვარცი, სულაბერიძე, კოჩინევი, გაბუნია და კანდელაკი. შემდეგ აღიძრა საკითხი უსაქმოთ დარჩენილ ფარმაცევტთა შესახებ. იმავ კომისიას კრებამ დაავალა ამ საგანზე დაწვრილებითი ცნობები შეკრიბოს და თავისი მოსაზრებით ფარმაცევტთა მომავალ კრებას წარუდგინოს.

◆ სახელმწიფო დუმის დეპუტატს **ამხ. ნ. ჟორდანიას** დეპეშით სრულათ გადაეცა თფილისის ამომრჩეველთა უკანასკნელ კრებაზე გამოტანილი რეზოლიუცია სომეხ-თათართა დამოკიდებულების შესახებ.

◆ შაბათს, 17 ივნისს, თფილისის ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდა **სხდომა ამომრჩეველთა ცალკე კომისიისა,** რომელსაც დავალებული აქვს გამონახოს ზომები თფილისის ამომრჩეველთა და მცხოვრებთა შორის მუდმივ კავშირის დასაჭერათ. სხდომაზე წამოყენებულ იქმნა საკითხი ფურცლების და ბროშურების გამოცემის საჭიროების, კრების გამართვისა და ლექციების კითხვის შესახებ, რომლითაც მცხოვრები უნდა გააცნონ დუმის მოქმედება, აგრარული საკითხები და სხვ. დაადგინეს ლექციების კითხვის საქმე რაიონულ კომისიებს მიენდოს.

◆ დღეს ხელახლა გამოდის რუსული ყოველ დღიური გაზეთი „Кавказскій Герольдъ".

◆ როგორც სოფ. ხვანჭკარიდან (რაჭა) იუწყებიან, 12 ივნისს **იქ მოუკლავთ თავადი ლ. ო. ყიფიანი.** იმავე დღეს სოფ. **ტოლაში მოუკლავთ თავ. ლევან ნ. ყიფიანის მეუღლე.** როგორც ამბობენ ქმრის მოკვლა სდომებიათ, მაგრამ ტყვია ცოლს მოხვედრია. მეორე დღეს დაეცენ ტოლაში მცხოვრებ ბესო ბაქრაძეს, მაგრამ ცოცხალი გადარჩა. მკვლელობას ყველგან პოლიტიკური ხასიათი ჰქონია.

◆ შუა ბაზარში **ახალი „სუდიები" აღმოჩენილა,** რომლებიც იბარებენ ხალხს

და ვინც მათ დაბარებაზე არ გამოცხადდება, მუქარას უთვლიან. ამ „ახალი სუდიების" მეთაურები ერთი ოქრომჭედელია და მეორე მკერვალი. საინტერესოა „ახალი სუდიების" სამართალი უფასოა თუ ფასიანი?

◆ როგორც გადმოგვცეს, სად. კარაკლისის რკინის **რემონტის მუშებისთვის სამუშაო ქირა მოუკლიათ**, რაც ამას წინათ ჩვენ გაზეთშიაც იყო მოხსენებული, ამაზე მუშებს პროტესტი განუცხადებიათ უჩასტკის „ნაჩალნიკთან". განრისხებულ „ნაჩალნიკს" ამის გამო ორას-სამოცი მუშა დაუთხოვია.

◆ რედაქციამ მიიღო ვ. გადიდის მიერ გამოცემული წიგნი „ქრისტიანობა და სოციალიზმი" ა. ბებელისა, თარგმანი დ. შ—ს. წიგნი შეიცავს 24 გვერდს, სუფთათ არის დაბეჭდილი და ღირს 5 კაპ.

◆ მეათე საპოლიციო ნაწილის თავშესაფარში იმყოფება გურიიდან წამოსული მოხუცი ქალი მარიამ კალანდაძისა, რომელიც მეტათ გაჭირვებულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი. საჭიროა დახმარება! შემოწირულება „ლამპრის" რედაქციაში მიიღება.

◆ გადათარგმნილი და ჩქარა დაიბეჭდება „პროფესიონალური კავშირი და პოლიტიკური პარტიები და კანონი სოციალისტების წინააღმდეგ გერმანიაში" ბებელისა.

◆ შიერბინის ქალის სასარგებლოთ რედაქციამ მიიღო „კახეთის" საზოგადოების მუშებში მოგროვილი ფული 12 მ. 10 კ. რომელიც დანიშნულებისამებრ გადაეცა. ეს გაზ. „ლამპრის" 45 №-ში უკვე იყო გამოცხადებული.

◆ უკიდურეს გაჭირვებაში იმყოფება ეკატერინე ფრანიანცი, ადრესი: თუმანოვის ქუჩა გელაშვილის სახლები № 21.

◆ 17 იენისს ნაშუადღევს პირველ საათზე მცხეთაში მტკვარში ბანაობის დროს დაიხრჩო ორი კაცი.

პარტიის ცხოვრებიდან.

როგორც ვიცით, რუსეთის ს. დ. მ. პარტიის შემაერთებელმა სიეზდმა გამოიმუშავა ბუნდთან შეერთების პირობები. მარა ბუნდი მაშინ შემოვა პარტიაში, თუ ეს პირობები მისმა სიეზდმა მიიღო.

როგორც „ვპერიოდში" მოყვანილ ცნობებიდან სჩანს, ბუნდი უკვე ემზადება ამ სიეზდისათვის. აი რას ვკითხულობთ ჩვენ იქ ამის შესახებ.

„ბუნდის ცენტრალურმა კომიტეტმა დაუგზავნა თავის ორგანიზაციებს უწყება, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია:

„მაისის უკანასკნელ რიცხვებში ბუნდის ც. კ. საბოლოოთ შეიმუშავა კითხვები, რომლებიც შეკავშირებულია მე-7 სიეზდთან, რომლის მოწვევა პრინციპიალურათ უკვე გადაწყვიტა ც. კ. თავის უკანასკნელ სხდომაზე.

დღის წესრიგში მოთავსებული გვაქვს შემდეგი კითხვები: 1) დელეგატების მოხსენება, 2) რუსეთის სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიასთან შეერთების საკითხი, ე. ი. უნდა შეერთდეს თუ არა ბუნდი რ. ს. დ. მ. პარტიას მის შემაერთებელ სიეზდზე გამომუშავებულ პირობების თანახმათ. 3) როგორი უნდა იყოს შინაგანი ორგანიზაციის ფორმა. 4) სოც.-დემოკრატიის ტაქტიკა მიმდინარე მომენტში, და 5) ც. კ. არჩევა.

როგორც ამ უწყებიდან სჩანს, დელეგატები სიეზდზე უნდა აირჩიონ ყველა პარტიულმა ორგანიზაციებმა, რაც აქამდე არ ყოფილა ბუნდის პარტიაში-

—

ბაქო. რკინის გზის რაიონული ორგანიზაციის კრებამ 14 იენისს მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„რკინის გზის რაიონი გამოსთქვამს იმ აზრს, რომ მასსიურ და საავგიტაციო კრებებზე ადგილობრივი ორგანიზაცია უნდა გამოდიოდეს როგორც ერთი მთელი, ერთი ლოზუნგებით და რეზოლიუციებით, ამასთან ერთათ ყოველი სერიოზული კითხვები უნდა გაირჩეს სარაიონოთაშორისო კრებაზე და მისი გადაწყვეტილებით უნდა იხელმძღვანელოს აღმასრულებელმა კომიტეტმა".

ამ რეზოლიუციას შემდეგ მიუმატეს აღმას. კომიტ. წარმომადგენლის შემდეგი შესწორება:

„იმ შემთხვევაში თუ რაიმე მიზეზების გამო სარაიონოთაშორისო კრებამ ასეთი დირექტივები ვერ მისცა—მასიურ და საავგიტაციო კრებაზე წამოაყენოს რეზოლიუციები და ლოზუნგები აღმასრულებელმა კომიტეტმა და თვითეული წევრი აღმასრულებელი კომიტეტის უსათუოდ უნდა დაემორჩილოს მას".

შემდეგ კრებამ გიკიცხვა გამოუცხადა ამხ. ბ.—რომელიც მიტინგზე გამოვიდა აღმას. კომ მიერ წამოყენებულ ც. კ. რეზოლიუციის წინააღმდეგ (6 კაცი გაკიცხვის წინააღმდეგი იყო).

ზოგიერთი ამხანაგი იმ აზრსაც ადგა, რომ გაკიცხვა გამოეტანათ აღმას. კომ. მიმართაც, რადგან მან ასეთი სერიოზულ კითხვაში (დუმის პოლიტიკური კამპანია) არ გაეცნო ორგანიზაციების შეხედულებას.

გადაწყდა ეს კითხვა მეორე კრებისთვის გადაიდოს.

დაბოლოს კრებაზე შემოტანილ იქმნა რეზოლიუცია, რომლითაც გაზეთი „Трудовая жизнь" უნდა გამხდარიყო ორგანიზაციის გაზეთათ. რეზოლიუცია მიიღეს".

ლუმპენპროლეტარიატი და ანარქიზმი

(გადმოკეთებული)

დღეს ყველასათვის ცხადია, რომ ამ რევოლიუციის დროს რუსეთში და ჩვენშიაც ძლიერ გავრცელდა და თანდათან ფეხსაც იკიდებს ეგრეთ წოდებული ლუმპენპროლეტარიატი. რა არის და ვინ არიან ლუმპენპროლეტარები? ყველა ქვეყნის კუთხეში, კაპიტალისტური საზოგადოების ძირში, არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც არავითარ კლასს არ ეკუთვნიან. ამ ადამიანებს დიდი ხანია სრულიად დახშვიათ შრომის ყოველგვარი სურვილი და ამათ არც კი იციან, თუ რა არის შრომა. ისინი უკიდურეს სილატაკეში ცხოვრობენ, მარტო მათხოვრობით, ქურდობით, ძარცვაგლეჯით ირჩენენ თავს; და სხვა ძნელი საშუალებებით მთელ თავის სიცოცხლეს ბანქოს თამაშში, ყომარბაზობაში, ლოთობაში, ქურდობაში და ძარცვა-გლეჯაში ატარებენ. აი ეს თანამედროვე საზოგადოების ნაძირალი წარმოადგენს ზნეობით გათახსირებულ ლუმპენპროლეტარიატს. ლუმპენპროლეტარიატი არავითარ კლასს არ ეკუთვნის, ეს ყველა კლასიდან გარიყულია და ნაძირალია. მუშებსა და ამ ნაძირალებ შორის ისეთი განსხვავებაა, როგორც ცა და დედამიწას შორის. მუშათა კლასზეა მთელი კაპიტალისტური საზოგადოება დამყარებული, მისი ფოლადის ხელები ქმნის იმ აურებელ სიმდიდეს, რასაც ჩვენ გარშემო ვხედავთ. ამ მუშის შექმნილ სიმდიდრით სულდგმულობენ მსხვილი და წვრილი ექსპლუატატორები. ლუმპენპროლეტარიატი კი არავითარ სიმდიდრეს არ ქმნის, მისი ხელები არაფერს არ აკეთებს, ვინაიდან იგი ეკონომიური ცხოვრების გარეშე სდგას.

შეგნებული მუშა კერძო საკუთრების დაუძინებელი მტერია; მას მტკიცეთ და შეურყევლათ წამს კოლექტიური საკუთრების იდეა და ყოველ ცისმარე დღეს მის განხორციელებას ესწრაფის. ეს იდეა საწარმოო იარაღების საზოგადოების ხელში გადასვლის იდეაა. ლუმპენპროლეტარიატი კი ამის წინააღმდეგ იქცევა, ის თავის სიღარიბ—სიღატაკეში და შიმშილში ხედავს თავის თავის ბუნებრივ განსხვავებას. თუ გნებავთ ლუმპენპროლეტარიატიც კერძო საკუთრების მტერია მაგრამ იმდენათ გონება დაბრმავებულა რომ კერძო საკუთრების მოსასპობათ მეტი გზა ვერ გამოუნახავს გარდა ქურდობისა და ცარცვა—გლეჯვისა.

მუშათა კლასი შეძლების დაგვარათ უნდა ცდილობდეს, რომ ამ ხორცმეტ ადამიანებს გამოეყოს და გამოეთიშოს, არავითარი დამოკიდებულება ნაძირალებთან არ იქონიოს, ვინაიდან კუჭმაძღარი ექსპლუატატორები ლუმპენპროლეტარების მიერ ჩადენილ დანაშაულობას და სისაძაგლეს საზოგადოთ მუშებს აწერენ, რომ მით მუშათა კლასს ჩირქი მოსცხონ და სახელი გაუტეხონ.

დღევანდელ საზოგადოებაში ჩვენ ხშირათ შევხვდებით ადამიანებს, რომლებიც ლუმპენ-პროლეტარებს უახლოვდებიან. ეს ადამიანები პროლეტარებს არ გვანან და არაფერი მათთან საერთო არა აქვთ; ისინი შეუმჩნევლათ ნაძარცვების ბანკში გადადიან და საძაგელ წუმპეში ყურყუმალობენ. ამათ რიცხვში ახალგაზდაცაა და ბებერიც, განათლებულიც და გაუნათლებელიც, პატიოსანი და გარყვნილებიც, მათ შორის არა მარტო ქურდებს შეხვდებით, არამედ უმაღლე, კეთილშობილური პრინციპების პატრონ ადამიანებს, რომლებსაც ვერ მოუხერხებიათ, და არც შეუძლიათ მაწანწალურ ცხოვრებას თავი დაანებონ. ეს მაწანწალები დასავლეთ ევროპის ყველა რევოლიუციების დროს მთავრობის მომხრე იყვენ. ჩვენში, რუსეთში, თუ რა როლი ითამაშა ლუმპენპროლეტარიატმა ეს ყველასათვის აშკარაა. „შავ რაზმებს", რომელთაც ხელმძღვანელობს მსხვილი და წვრილფეხა ჩინოვნიკები უმეტეს ნაწილათ ეს ნაძირალები შეადგენენ. მთავრობას ამ გამოთაყვანებულ ადამიანებთან დიდი დამოკიდებულება აქვს. დასამტკიცებლათ საკმარისია მოვიგონოთ რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში ყველა ის სისხლის ღვრა, რომელიც 17 ოქტომბრის მანიფესტამდის და მას შემდეგ მოხდა...

ზ. უბედურიძე

(დასასრული იქნება).

პროტესტები ანარქისტების წინააღმდეგ

—

ჩვენ ამაზე ხელის მომწერნი, ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოსამსახურე კონდუქტორები ტფილისის სადგურზე მცხოვრებნი, აღშფოთებულნი გაზეთ „მუშის", აგრეთვე „ნობათის" საზიზღარი ცილის წამებით და უშვერი ლანძღვა-გინებით, რომელსაც ისინი ხმარობენ სოციალდემოკრატია დასამცირებლათ შეგნებულ მასის თვალში, ულრმეს ზიზღს ვუცხადებთ ორთავე გაზეთის რედაქციებს, და ენერგიულათ მოვითხოვთ, რომ ამიერიდან უპატიოსნო გაზეთმა „მუშამ" ეს პატიოსანი სახელი აღარ ატაროს და მით მთელი პროლეტარიატის სახელს ჩირქი აღარ მოსცხოს.

ამ პროტესტზე ხელს აწერს 200 კაცი.

—

ჩვენ, ჩაქვის მუშებმა რიცხვით 65 კაცმა გავმართეთ მიტინგი, გამოვიტანეთ შემდეგი რეზოლიუცია: აღშფოთებულები გაზეთ „მუშის" უწმაწურ და უსინდისო ლანძღვაგინებით ზიზღს და პროტესტს ვუცხადებთ ხსენებულ გაზეთის რედაქციას და მოვითხოვთ მისგან, შესცვალოს პატიოსან მუშის სახელით გაზეთის გამოცემა.

ამხანაგების მონდობილობით ხელს ვაწერთ 6 კაცი.

—

სოფ. ნოლო-ხაშის გლეხთა დადგენილება. ჩვენ გვწამს იდეური ბრძოლა, გვახსოვს შარშან ის, რომ გამოცოცდენ რა საიდგანღაც, გვეწვიენ „სოციალისტ-ფედერალისტები", გულ მოდგინეთ მოვისმინეთ მათი პროგრამა (და გავისტუმრეთ), ახლა გამოჩენილან „ანარქისტები" და კაბინეტიდან მუშის სახელით უტიფრად ლანძღავენ და ჩირქს სცხებენ იმ პარტიას, რომელიც იბრძვის ნამდვილ თავისუფლებისათვის, და არც კი აუხსნიათ თუ რაში მდგომარეობს მათი „ანარქია" ზიზღს ვუცხადებთ „ანარქისტებს" „მუშის" თანამშრომლებს და ვაძლევთ წინადადებას, როგორც ასეთებმა, არ იმუშაონ მუშის სახელით ამიერიდან.

სოფ. ნოლო-ხაშის გლეხთა მინდობილობით ვასილი, ბაბალა, ზოსიმე, ერმილე ცომაიები.

—

ოზურგეთის ადგილობრივი მუშები ხელოსნები და მუშათა პარტია, ჩვენს ღრმის წყრომას და ზიზღს ვუცხადებთ ანარქისტების გაზეთს, „მუშას" რომელიც დაუსრულებელი ცილის წამებით და ლანძღვაგინებით ჰკიცხავს ს. დემოკრატიას, ჩვენ მუშები დაუყონებლივ მოვითხოვთ მუშის რედაქციისაგან გაზეთს სახელი გამოუცვალოს, რომ მუშის სახელით არ გამოდიოდეს.

ხელს აწერს 100 კაცი.

—

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ჩვენ წერილს რომლის საშუალებითაც სავსებით პროტესტებს ვუცხადებთ გაზეთ „მუშის" რედაქციას და ვაძლევთ უკანასკნელ წინადადებას გამოუცვალოს სახელი თავის ორგანოს როგორც არა ღირსს მუშის სახელის ტარების, ამასთანავე ვუწოდებთ ჯაშუშს „ლამპარის" საწინააღმდეგო წერილების გამო.

75 კაცის დარკვეთელ რემონტის მუშების მინდობილობით ნ. ბუჩიძე, ვ. შინაძე, კ. ვერული.

—

ჩვენ, ბათუმის ნოქრები ზიზღს ვუცხადებთ გაზეთ „მუშის" და აგრეთვე „ნობათის" რედაქციებს, რომლებიც ცილს სწამებენ და უშვერი, ქუჩური სიტყვებით იხსენიებენ სოც. დემოკრ., რომელიც ერთადერთი ნამდვილი დამცველია ხალხის ინტერესებისა, ამასთანავე წინადადებას ვაძლევთ „მუშის" რედაქციას, რომ გაზეთს სახელი გამოუცვალოს, რადგანაც ასეთი „დათვური სამსახურით" ჩირქს სცხებს მუშა ხალხს. მუშებმა კარგათ იციან თავისი ინტერესების დამცველი და ასეთ „არა-მკითხე" მოამბებს კარგათ გაარჩევს ხალხის მოყვრებისაგან.

ხელს აწერს 83 კაცი.

—

ჩვენ, ბათუმის მუშებმა, წავიკითხეთ გაზეთი „მუშა" (ანარქისტული ორგანო) და აღშფოთებულნი დავრჩით რა მისი საზიზღარი ნაწერებით, სასტიკ პროტესტს ვუცხადებთ ხსენებულ გაზეთის რედაქციას და მოვითხოვთ დაუყოვნებლივ შეცვლილ იქმნას გაზეთის სახელი, რადგანაც ის გაზეთი ღირსი არ არის „მუშის" სახელის ტარების.

ამ რეზოლიუციას ხელს აწერს 104 მუშა.

მუშების მინდობილობით ვარლამ მჟავანაძე.

პროვინცია.

სოფ. ონტოფო (სამეგრელო). ჩვენში რეაქცია ახლა იწყება. ამ ბოლო ხანებში ჩვენს სოფელს ეწვია რამოდენიმე დრაგუნი და კაზაკი თავისი უფროსებით. „სტუმრები" სოფლის შუაგულში დაბინავდენ და მოითხოვეს: სახაზინო გადასახადები, ასასთავ-ათისთავები და მქადაგე-

ფელეტონი

—:—

საით არის მარჯვენა მხარე და საით „ორთოდოქსია"

(თარგმანი)

(დასასრული. იხ. „ლამპარი" № 43)

ანარქიზმს არა თუ რამე საერთო არა აქვს თანამედროვე სოციალიზმთან, არამედ პირდაპირ ეწინააღმდეგება მას. სოციალიზმი დამყარებულია საზოგადოებასა და მის განვითარებაზე, ანარქიზმი კი პიროვნებაზე. თანამედროვე სოციალიზმი მეცნიერულ ნიადაგზე დგას, ანარქიზმი კი უტოპიზმზე; ამასთანავე, ანარქიზმი არა მარტო უტოპიურია, იგი წარმოადგენს უტოპიზმის გადაგვარების ნაყოფს.

ძველი უტოპიური სისტემის ფორმალური ლოგიკაც კი მათთან შორს არის, ის ვერ აკმაყოფილებს ლოგიკის უბრალო ელემენტარულ მოთხოვნილებას. ის პიროვნების უფლების შესახებ მსჯელობს და ამავე დროს კი ავიწყდება, რომ უფლება არის ნორმა, რის აღსადგენათ საჭიროა ადამიანთა შორის დამოკიდებულება, ე. ი. საჭირო არის არა პიროვნება მაინც. სანამ რობინზონი კუნძულზე მარტოთ ცხოვრობდა, მისთვის საჭირო არ იყო უფლებრივი ნორმა. ანარქისტული „პიროვნება" ეს რობინზონია, რომელიც უტოპიური აბსტრაქციის უდაბნო კუნძულზე გადასახლებული. რასაკვირველია უფლებრივი ნორმა მისთვის საჭირო არაა. ანარქისტების ენით რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს: პიროვნების უფლება განუსაზღვრელია, და აი ამას, რაც ტლანქი მეტოდოლოგიური შეცდომის ნაყოფია, სახავენ იდეალათ. აქედან აშკარაა, რომ თანამედროვე სოციალიზმი და ანარქიზმი ეს ორი სრულიად სხვა და სხვა თეორიაა სხვა და სხვა აზროვნებით შემუშავებული. და საერთაშორისო სოციალიზმის მემარცხენე მიმდინარეობათ ანარქიზმის აღიარება თვალსაჩინოთ ამტკიცებს კითხვის სრულ უცოდინარობას.

სხვა და სხვა გვარა აზროვნებით შემუშავებულ თეორიების შეფარდება შეიძლება მხოლოდ იმ მხრით, თუ ყველა ეს თეორიები საზოგადოებრივი განვითარების ნაყოფია. ამ მხრით, რასაკვირველია, ის სწავლა, რომელიც უფრო შეეფერება თანამედროვე საზოგადოების უმწვერვალეს საფეხურს, არის სწავლა უფრო პროგრესიული და უფრო „მარცხნივაც" სდგას. ამ თვალთახედვის ისრით თუ ჩვენ გავსინჯავთ სოციალიზმს და ანარქიზმს, აშკარათ შევამჩნევთ, რომ საქმე ისე კი არაა, როგორც ეს იმათ გონიათ, ვისაც ვერ გაუგიათ საქმის ნამდვილი ვითარება. უტოპიური სოციალიზმი კაპიტალიზმის განვითარების პირველ საფეხურს შეეფერება; თანამედროვე მეცნიერული სოციალიზმი კი კაპიტალიზმის უფრო განვითარებულ ხანას. მეცნიერული სოციალიზმი აღორძინდა მაშინ, როდესაც უტოპიური უკვე ეცემოდა. მეცნიერულმა სოციალიზმმა უტოპიური სოციალიზმის ალაგი დაიჭირა. ამის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია, თუ რომელი მოძღვრება მარჯვნით სდგას და რომელი მარცხნით. რაც უნდა „მიუდგომელი" არ იყოთ, მაინც უნდა აღიაროთ, რომ ანარქიზმს მარცხნივ ალაგი არა აქვს. ის ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ ანარქიზმი სოციალიზმის მარცხენა მხარეაო, ძლიერ წააგვან „კარობოჩკას" იმ გოგოს, რომელსაც ჩაჩიკოვისთვის გზა უნდა ეჩვენებია და სელიფანის სიტყვით, არც კი იცოდა საითაა მარცხენა და საით მარჯვენა მხარე.

ჩვენი დღევანდელი „უმცირესობა" (ყოფილი „ბალშევიკები") წააგავს ანარქისტებს იმ მხრით, რომ ისინი მხოლოდ რაღაც გაუგებრობის გამო შეიძლება ჩაითვალონ სოციალიზმის მოწინავე მიმდინარეობის გამომხატველათ. მე რომ მკითხოთ, თუ რაში მდგომარეობს ის ტაქტიკური უთანხმოება, რომელიც ჩვენი პარტიის ორ ფრაქციათა შორის არსებობს, ვიტყვი ასე:

ერთი მხრით ყოფილი უმცირესობა, („მენშევიკები") დღეს კი უმრავლესობა, ასე თუ ისე უფრო მტკიცეთ და შეურყევლათ ადგას იმ ტაქტიკას, რომელიც შეეფერება მარქსის თეორიას; მეორე მხრით, დღევანდელი უმცირესობა, ყოფილი უმრავლესობა, (ბოლშევიკები) თავიდან ფეხამდე გაბლანკისტდენ. აი სწორეთ ეს გარემოებაა, რომ შეხახ-შემოხახება და დავა ასტყდა.

ენგელსი ამნაირათ ახასიათებს ბლანკის; „თავის პოლიტიკურ მოღვაწეობაში ის, ბლანკი, იყო „საქმის კაცი". მას სწამდა, რომ ერთ მუჭა კარგათ შეკავშირებულ უმცირესობას, რომელიც ეცდება ხელსაყრელ პირობებში აჯანყება გამოიწვიოს, შეუძლია პირველი გამარჯვებით ხალხის უმრავლესობა გაიტაცოს და ამ მხრით რევოლიუცია მოახდინოს. ბლანკი ყველა რევოლიუციის უყურებდა, როგორც პატარა, ერთი მუჭა რევოლიუციონერებისაგან მოხერხებულ საქმეს. აქედან თავისთავათ იგულისხმება, რომ გამარჯვების დროს დიქტატურა აუცილებელია, რასაკვირველია, არა მთელი რევოლიუციონური კლასის, პროლეტარიატის, არამედ იმ უმცირესობის, რომლებმაც აჯანყება დაიწყეს და წინდაწინვე ორგანიზაცია შეადგინეს ერთის ან რამდენიმეს დიქტატორობით".

ეს დახასიათება დღევანდელ ჩვენ უმცირესობას („ბოლშევიკებს") შეეფერება. ეს „საქმის ხალხი" რევოლიუციას ისე უცქერის, როგორც ბლანკი უცქეროდა. ტყუილათ ამბობენ ისინი, რომ მასსის მნიშვნელობას ვაფასებთო, ბლანკამ კი არ იცოდა მასსის დაფასებაო. ეს ასე არაა. ბლანკისტების პლანში განსაზღვრული და დიდი ადგილიც ქონდა დათმობილი მასსას. ამას ჩვენ მიერ მოყვანილი ენგელსის სიტყვებიც ამტკიცებს და ვინც კი ცოტაოდნათ მაინც იცნობს საფრანგეთის სოციალიზმის ისტორიას, ეს უიმისოთაც ეცოდინება. ბლანკისტები უტოპიურათ უყურებდენ მასსას, რადგანაც არ იცოდენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მასსის რევოლიუციონურ თვითმოქმედებას. მათ პლანებს მხოლოდ შეთქმულები აწარმოებდენ, მასსა კი კარგათ შეკავშირებული უმცირესობით გატაცებული, შეთქმულებს მხოლოდ ეშველებოდა. აი ამიტომ ენგელსი ამბობს, რომ ბლანკი ყველა რევოლიუციას უცქერის, როგორც ერთი მუჭა რევოლიუციონერების მოხერხებულ საქმეს. ეს ბლანკიზმის პირველ ყოფილი ცოდვა დღევანდელ ჩვენი უმცირესობის („ბალშევიკების") უმთავრესი ცოდვაა. ისინი, როგორც ბლანკი, უარყოფენ მასსის თვითმოქმედებას და არ ესმით, რომ მასსის პოლიტიკური აღზრდა—რომლის გამოსყიდვა შეიძლება მისი პოლიტიკური თვითმოქმედებით,—შეადგენს რევოლიუციის უმთავრეს გამარჯვებას და მიზანს. ამ უარყოფითი პირობებზე, ე. ი. ამ გაუგებრობაზე—დამყარებულია მთელი მათი ტაქტიკის პლანი და სწორეთ ასეთი პლანებით იყო გაჟღენთილი ყველა ის რეზოლიუციები, რომელიც უკანასკნელ სიეზდზე წამოაყენეს. ჩვენი დღევანდელი „უმცირესობა" იმდენათ გაჟღენთილია ბლანკიზმით, რომ ისინი არსებითად, თავისი ტაქტიკური შეხედულებით, არაფრით არ განსხვავდებიან ჩვენი რუსის ბლანკისტებიდან—ან უკვე განსვენებული „ნაროდოვოლცებისაგან". იგივე შეთქმულობა, იგივე „შეიარაღებული აჯანყება", იგივე რევოლიუციონერების „ხელში მთავრობის ჩაგდება". ამათ შორის განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ „ნაროდოვოლცების" მეთაურს—ა. ჟელიაბოვს უფრო მეტი პოლიტიკური ინსტიქტი ქონდა, ვიდრე ახლანდელ ბლანკისტების—ნ. ლენინს. ჟელიაბოვმა კარგად იცოდა, რა დიდი მნიშვნელობა ქონდა შეთქმულებისთვის „საზოგადოების" თანაგრძნობას.

მაგრამ საჭიროა ვიცოდეთ, რა ისტორიული დამოკიდებულება აქვს ბლანკიზმს მარქსიზმთან?

ენგელსი ამბობს ბლანკის დასახასიათებლათ: „თქვენ ხედავთ, რომ ბლანკი ძველი თაობის კაცი ყოფილა". აი სწორეთ ჩვენი დღევანდელი ბლანკისტები—ლენინი და ძმანი მისი, რომლებიც ძველი დახავსებული შეხედულების არიან რევოლიუციაზე, წარმოადგენენ „ძველ თაობის ადამიანებს", ბევრი მათგანი ოდესღაც მარქსისტები იყვენ და ყველა მათგანი დღესაც მარქსისტობს. მაგრამ ეს ხომ ილიუზიაა, ამ ადამიანების ტაქტიკურ და სხვა მრავალ კითხვებშიაც დიდიხანია იოტის ოდენა მარქსიზმი აღარაა*).

---

*) ენგელსი მეორე თავის წერილში ბლანკისტებს ახასიათებს ისეთ ადამიანებათ, რომლებიც სცდილობდენ რევოლიუციის პროცესის განვითარებისათვის წინ გაესწროთ, გამოეწვიათ მასში ხელოვნურათ კრიზისი და დაეწყოთ რევოლიუცია იმ დროს, როცა არ იყო ამისთვის საჭირო პირობები... ისინი რევოლიუციის ალხიმიკები იყვენ, როგორც ძველი დროის ალხიმიკები. ენგელსის სიტყვებით, ისინი მამაცები იყვენ და რევოლიუციონური უნარიც არ აკლდათ, ისინი პირველები აგებდენ ბარიკადებს, იარაღის საწყობ მაღაზიებს ცარცვავდენ, „წინააღმდეგობას უწევდენ და ბუნ

გალახადა ძალით აგრიფეს: ვის ძროხა, ვის ცხენი, ვის ღორი და სხ. მქა- ჯერ ვერ ვიშოვეთ. სალდათები ძლი- ექცევიან: იტაცებენ ქათმებს, ბა- ყვერცხებს, ყველს და სხვა სანოვაგეს. სცემეს ერთ 60 წლის მოხუცს.

აქაური.

—

ულიის საზოგადოება (ქუთ. მაზრა). ამ არ გვაქვს, ძარცვა-გლეჯა არ მოხდეს. 1 ს, რამდენიმე შეიარაღებული კაცი თავს ს. ურმაკეთის მცხოვრებ გლეხს კაკუ- . ძლიერ სროლა. კაკუშაძის შვილი მო- ერი თავდამსხმელთაგანი დაიჭრა დაშავ- დენ.

ხსს, ქუთაისში მიმავალ ღომიძეს გა- სარგებლის ჯარკი წაართვეს. გაძარცვეს ვალიანი. ქურდები თავისუფლათ იმა- რადგან არც პოლიცია და არც ხალხი დებას არ აქცევს.

მოპარულები ისევ ხალხისკენ იბრუნეს პი- ხალხი განზე უყურებს მათ მეგო-

ს. თამამაძე.

—

ეთი-ნიქოზი (ქართლი). რეაქციამ ჩვენ- მოსულტა ს. დ. ორგანიზაციების მწყობ- მუშაობა და ამ მოვლენით ძლიერ სარგე- ენ საზოგადოების ნაძირალა და გათახსირე- პირები. ძლიერ გახშირდა ძარცვა-გლეჯა. ტანისამოსსა ხდიან ადამიანს და ტი- ს უშვებენ. ამ დღეებში დაეცენ ქვემო- ზის მღვდ. კაპანაძეს და ფული მოსთხო- სამწუხარო ის არის, რომ ეს სინიდის გა- ხრდები სოც.-დემოკრატების სახელით ახ- ენ ასეთ ძალადობას. სოფელი დიდ გასაჭირ- იდგან ერთის მხრით მთავრობის „ოპრი- ა“ და მეორე მხრით ეს ქურდ-ბაცაცები ნებას არ აძლევენ არავის.

X.

—

ოზურგეთი. ოზურგეთს ვეღარ იცნობთ. იქ ც ნახევარი წლის წინათ წითელი რაზმელე- დადიოდენ, დღეს თითქმის ხმალ ამოწვდი- კაზაკები დათარეშობენ. ის მოედანი, რო- ზედაც დიდებული მიტინგები იმართებოდა, ული დროშები ფრიალებდენ, დღეს სულიგა- სასჯარნოთ გამხდარა. ქალაქის ბაღი კაზა- ის ცხენების სადგურათ გახადეს. საუკეთესო ლებში სალდათები ჩაუყენეს. ყველაფერი ისე ბულ-დათხრებულია, რომ კაცს გულს მოუ- კაზაკებისა და მათი ცხენების სიბინძუ- ჭირივით საშინლათ მოსწამლა. აგზაკობა სო- ებში ძლიერ გახშირდა. პოლიცია, რასაკვირ- ლია, როგორც თითონ აგზაკებისაგან შემდგა- ი, მათ მხარს უჭერს და არას ეუბნება. სოფ. ბზუში არის მაგალითად რამდენიმე პირი, მლებმაც აგზაკობა დაისახეს მიზნათ. პოლი- ას სთხოვა ხალხმა მათი მოშორება, მაგრამ ეს ამ მოკავშირის ღალატი იქნებოდა. ამ აგზაკ- ა უმეტესობა იმავ დროს ჯაშუშობასაც ეწევა ა ჯაშუშებისთვის პოლიცია ხომ თავსაც გას- წირავს.

ალე

სოფ. დიდი-ენგეთი. (თფილისის მაზრა). მე წავედი ენაგეთში ოჯახობით, რომ სახლობა იქ დამეტოვებია და თანაც „პასპორტი“ ამეღო. შემთხვევით გადავეყარე ორ თფილისელ ამხანაგს, რომლებიც პასპორტის ასაღებათ მოსულიყვნენ და ერთათ მივედით მამასახლისთან. მამასახლისი, როგორც წესია, ძალზე გალეშილი იყო. ჯერ რაღაც ეშმაკის თვალით შემოგვხედა და შემდეგ გვითხრა; თქვენ „ბუნტოვშჩიკები“ ხართ, პასპორტს ვერ მოგცემთო. ჩვენ ავუხსენით ყველაფერი და როგორც იქნა დავიყოლიეთ. სახლში რომ დავბრუნდით, ვნახეთ რომ ბილეთი ხელ მოუწერელი იყო. მაშინვე დავბრუნდით და ხელი მოვაწერიეთ. ვნახოთ დილა ადრიან თავს დაგვესხენ კაზაკები, აფიცრის წინამძღოლობით და დაგვიჭირეს. გამოირკვა, რომ მამასახლისს კაცი ეგზავნა; „არიქა, მიშველეთ, წითელი რაზმელები დაგვეცნენ და სოფელს აკლებას უპირებენო.“ აფიცერმა ასე ახსნა ჩვენი დაჭერის მიზეზი: „თქვენ აქ სოფლის ასაკლებათ და ადგილობრივი მამასახლისის მოსაკლავათ მოსულხართო. როდესაც ჩვენ ჩვენი მგზავრობის ნამდვილი მიზეზი აუხსენით, მამასახლისმა ზაქარია დალაქიშვილმა უშვერი სიტყვებით დაგვიწყო ლანძღვა-გინება და ბოლოს რევოლვერიც იშიშვლა, და კაზაკის აფიცერმა გადაგვარჩინა. მცირე ხნის შემდეგ აფიცერმა ყველანი გაგვანთავისუფლა.

ამხანაგების მონდობილობით არტემ დონდიევი.

ტუსაღ სალდათების გაფიცვა თფილისის სადგურზე

18 ივნისს, ღამის 12 საათზე, მეტათ საყურადღებო და ამაღელვებელი ამბავი მოხდა: იმ დროს, როცა ბაქოს მატარებელი უნდა გასულიყო, მეტეხის ციხიდან მოიყვანეს 35 პატიმარი-სალდათი, მათ შორის რამოდენიმე კაზაკი, რომლებიც ამავე მატარებლით უნდა გაეგზავნათ ბაქოსკენ. ტუსაღებს აუარებელი ხიშტიანი სალდათები და კაზაკები იცავდენ. ამისდა მიუხედავათ, პატიმარი-სალდათები მარსელიეზას მღეროდენ.

როცა პატიმარი-სალდათები პლატფორმასთან გააჩერეს, მათ უარი განაცხადეს წასვლაზე და ვაგონში არ შედიოდენ. მოითხოვეს, დაუყონებლივ მიეცეთ მათ 12 კ. ნაცვლათ 25 კ. სახარჯო თითო ტუსაღზე.

ერთმა პატიმარმა-სალდათმა მეტათ მგრძნობიარე სიტყვით მიმართა დანარჩენ ამხანაგებს: „თქვენ, ამხანაგებო,—თქვა სალდათმა—ხმასაც ნუ ამოიღებთ, მარტო მე ვარ პასუხის მგებელი თქვენს მაგიერ, მხოლოდ თქვენ არ მიღალატოთ. დეე, მე მომკვლენ მარტო აქ, ამ პლატფორმაზე და ფეხს კი მაინც არ მოვიცვლით აქედან, სანამ არ დაგვაკმაყოფილებენ“. მანვე მიმართა მხლებელ აფიცერს და მოსთხოვა თითო კაცზე 25 კ. სახარჯო. უამბო აფიცერს, რომ ეს მესამე დღეა მშიერები არიან, და განა შესაძლებელია, ამდენი კაცის შიმშილით ამოხოცვაო?

აფიცერი თავის მხრით ამშვიდებდა მათ და რაც შეეძლო ვითომ ღონეს ხმარობდა მათ დასაკმაყოფილებლათ, რისთვისაც სადღაც კიდეც წავიდა. დაბრუნებისას მოელაპარაკა ტუსაღებს. რა მოელაპარაკა ან რით დააკმაყოფილა ტუსაღები აფიცერმა ვერ გავიგე, რადგან მცველები ახლოს არავის უშვებდა და შორიდან არაფერი არ ისმოდა.

როცა ტუსაღები ვაგონში შევიდენ, შიგ ისევ უკმაყოფილების ხმაურობა ასტყდა. მეთაური ტუსაღი ვაგონიდან გარეთ გამოვიდა და ურჩევდა ამხანაგებს გარეთ გამოსვლის. ტუსაღები იწვევდენ ერთი-მეორეს გარეთ გამოსასვლელათ. ვაგონში და ვაგონს გარეთ აუარებელი მცველები დააყენეს, მაგრამ მეთაური ტუსაღი ვაგონში არაფერის გზით არ შედიოდა. თანაც ყვიროდა: „მომკალით აქვე და აქედან კი არ მივდივარ“. მატარებელმა გასვლის სიგნალიც მისცა, მაგრამ ტუსაღებმა შეჰყვირეს მემანქანეს ადგილიდგან არ დაძრულიყო. ამ დროს ჯარი სასროლათ მოამზადეს და მაყურებელ ხალხსაც შეჰყვირეს: „Разойдитесь“-ო. ტუსაღი ადგილიდან არ იძროდა იმისდა მიუხედავათ, რომ მას თოფი დაუმიზნეს, „მომკალითო“, გაიძახოდა.

შემდეგ მას დაუშინეს თოფის კონდახები, ძალით შეათრიეს ვაგონში და კარები ჩაუკეტეს. ამის დანახვაზე ერთმა ტუსაღმა-კაზაკმა დაივლო მხრებზე ხელი და პაგონები ჩამოიგლიჯა. ატყდა მეტის მეტი უკმაყოფილების ხმა ტუსაღების მხრივ.

ამ დროს მატარებელიც დაიძრა ადგილიდან, რის შემდეგაც ტუსაღებმა სულ ერთიანათ ჩალეწეს ვაგონის შუშები და რეშოტკები. სანამ მატარებელი კარგათ არ დაშორდა სადგურს სულ ისმოდა შუშების მტვრევა და ყვირილი. რა მოხდა შემდეგ არ ვიცი, მხოლოდ ტუსაღები გაიძახოდენ: „სულ ერთია, მეორე სადგურზე გავიფიცებითო“.

ი. ქ.

—

საგურამოს რაიონი. ამ ორი კვირის წინეთ მოკლეს წინამურის მამასახლისი კახუაშვილი. მკვლელობის მიზეზათ ჯაშუშობას ასახელებენ.

რეაქცია თუმცა ჯერ კიდევ სუნთქავს, მაგრამ ძველებური რიხი აღარ ეტყობა. სამაგიეროთ მოძრაობა გლეხთა შორის დღითი-დღე იზრდება და ძლიერდება. გადაწყვეტილი აქვთ მთელი ჭირნახული სახლში წაიღონ. განსაკუთრებული მღელვარება ჭავჭავაძე-სტაროსელსკის და ხიმშიაშვილის ხიზნებს ეტყობათ. როგორც მოგეხსენებათ, აღნიშნულმა ბატონებმა შარშან კაზაკების საშუალებით ბეღლებიდან ამოიწყეს პური და ისე წაიღეს. გლეხები ნებით არც წელს აპირებენ არაფერს.

თუმცა მთელმა ქვეყანამ შეიტყო აქაური ქურდ-ბაცაცების ამბავი, მაგრამ ჩვენს პოლიციას არავითარი ღონე არ უხმარია მათ წინააღმდეგ. ახლა ხალხი თვითონ თხოულობს იარაღს, რომ თავი დაიფაროს. როგორც გავიგე ამ მიზნით ნამესტნიკთან დეპუტაციის გაგზავნას აპირებენ.

13 თიბათვეს კრება მოხდა სოფ. ახატანში. კრებას ბევრი ხალხი დაესწრო. დაადგინეს: „ს. ახატნის გლეხები პირობასა ვსდებთ, რომ მედგრათ ვიბრძოლებთ მთელი მიწისა და მთელი თავისუფლების მოპოვებისათვის. ამისათვის ჩვენ მხარს დავუჭერთ სახელმწიფო სათათბიროს ყოველ ნაბიჯს, რომელიც ხალხის ინტერესების დაცვას შეეხება და რომელიც დააჩქარებს დამფუძნებელი კრების მოწვევას“.

ლალე.

—

ქიზიყი. ძველ ანაგის კალოებზე ფანიანის და ქედლის საზოგადოებებმა 11 ივნისს კრება გამართეს. სჯა-ბაასი უმთავრესათ სახელმწიფო სათათბიროს შეეხებოდა. კრებამ დაადგინა: რადგანაც მრავალჯერ მიგვიმართავს მთავრობისათვის ჩვენი გაჭირვებულ ცხოვრების გასაუმჯობესებლათ, მაგრამ ყოველთვის ჩვენი იმედი გაცრუებულა, დღეს ჩვენთვის ცხადი შეიქნა, რომ მთავრობისგან არაფერს არ უნდა მოველოდეთ. ჩვენ გვესმის ისიც, რომ მთავრობისაგან მოწვეულ სათათბიროს არ შეუძლია ჩვენი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება თუ ჩვენ თითონ მხარს არ მივცემთ ჩვენი დეპუტატების მოთხოვნილებებს. საჭიროთ მიგვაჩნია ყოველი ჩვენი გასაჭირი წერილებით ვაცნობოთ ჩვენს დეპუტატებს და თუ მთავრობა ნებით არ დაგვითმობს, ძალით მოვიპოვოთ მიწაც და უფლებაც.

დასასრულ მთელმა კრებამ ზიზღი გამოუცხადა ი. იმედაშვილს ხალხის ღალატისათვის და სასტიკათ დაგმო მისი ამგვარი საქციელი.

ქიზიყელი

—

მერვის გაუპტვახტი. მაისის შუა რიცხვებში მერვის გარნიზონის სალდათებმა სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს დეპეშა გაუგზავნეს. სალდათების გაჭირვებული მდგომარეობა ყველას მოგეხსენებათ და ნუ თუ დანაშაულობა არის კაცმა მწარე ხვედრის შემსუბუქება ითხოვოს? ჩვენი დეპეშა ამ შინაარსისა იყო: „თავმჯდომარეს მურომცევს, მოხარული ვართ თქვენი თავმჯდომარეთ დანიშვნის. ვთხოვთ ხელმწიფეს შეგვიმსუბუქოს მდგომარეობა. ხანგრძლივი და აუტანელი სამსახური ზნეობით და გონებით გვამახინჯებს. საჭიროა, სრული ამნისტია თავისუფლების მებრძოლთათვის. გაუმარჯოს თავისუფლებას, სათათბიროს, ხალხს და სახალხო არმიას. სალდათები; კოხრეიძე, გოლოვანოვი, სინდეევი, ნევიაროვსკი, გაბრიჩიძე, კონევი, მაპოვალოვი და სურკოვი“. მიაღწია თუ არა ამ დეპეშამ მიზანს ჩვენ არ ვიცით. გავიგეთ ვითომც მერვის ფოსტის კანტორაში დაიჭირესო. ხუთი კაცი უმალვე დაგვატუსაღეს. სამი ჯერ არ დაუჭერიათ. მე ავათ გავხდი და 8 დღე გაუპტვახტის ლაზარეთში ვიწექი. მიუხედავათ სამხედრო ექიმის რჩევისა გარეთ არ მაშვებდენ სასეირნოთ. ახლა სად მიგვყავართ აღარ ვიცი.

ტუსაღი სალდათი კოხრეიძე.

მუშათა შორის

—

გაფიცვა ჭიათურაში. ამას წინათ „ლამპარში“ შეცდომით იყო მოთავსებული ცნობა, თითქოს ჭიათურაში საერთო გაფიცვა მომხდარიყოს და მუშებს მოეგოთ რვა საათის სამუშაო დღე და სხვა. ნამდვილათ კი გაფიცვა დაიწყო რვა ივნისს. ამ დღეს დილიდანვე მიწყნარდა ყველაფერი. არც ერთი ურემი, არც ერთი ჩალანდარი, არც ერთი მუშა არ ჭაჭანებდა, კანტორებიდან, მაღაზიებიდან და სახელოსნოებიდან ნოქრები, ქარგლები და შეგირდებიც გამოვიდენ. ჭიათურა თითქოს მოკვდა. ასეთი ერთსულოვნობა არ ახსოვს ჯერ ჭიათურას. გაფიცვაში 10000 მუშა იღებს მონაწილეობას. გაფიცული არიან აგრეთვე შორაპნის და ფოთის მუშები. თერთმეტ ივნისს გაფიცვას შეუერთდენ სამიკიტნოს მოსამსახურეებიც. უმთავრესი საერთო მოთხოვნილებები შემდეგია: რვა საათის სამუშაო დღე, ბინები, ნარდი მუშაობის მოსპობა, მიღება და დათხოვნა მუშებისა ისევ მუშათა ხელში იყოს, იაფ ფასიანი სასადილოები და უფასო ბიბლიოთეკები.

აუტანელმა პირობებმა აიძულა ჭიათურის მუშები ასეთი სამაგალითო გენერალური გაფიცვით შებრძოლებოდენ აქაურ კაპიტალისტებს. მიუხედავათ იმისა, რომ ქვის ფასმა აიწია, მოთხოვნილებამაც იმატა, მუშები მაინც ისევ უწინდელ თითქმის გაჭირვებულ მდგომარეობაში იყვნენ. წარმოიდგინეთ ორას-სამას საჟენიანი ხვრელი (მაღარო) სიმაღლით ორი, ხშირათ თითო არშინი, ამასთან ნესტიანი, შიგნით ბევრ ადგას ისეთი ვიწრო, რომ მუშა ხშირათ იძულებულია ფოფხვით შეძვრეს შიგ. ამ მაღაროებში ანთია უშუშო კრუშკა, რომელიც ბოლავს და მაღაროს ჰაერს წამლავს, არც ფეხის ადგილი, არც გაშრობა მაღაროისა, არც წყალი თავის დროზე. ასეთ ხვრელში მუშაობს მთელი კვირაობით მუშა ათ საათს დღეში. მისი ტანისამოსი, მთელი მისი სხეული თავიდან ფეხებამდე მთლათ მტვერშია მოსვრილი. როცა მუშაობას მორჩება, ის ვერც მერე ისვენებს: არ აქვს საკუთარი ბინა, ვერც საქირავებლათ შოულობს; ის თავისავე გამოთხრილ ქვაზე წვება და იძინებს. ძეურმეები და ჩალანდრები კი თავლებში იძინებენ თავის საქონელთან ერთათ. ახალი მოსულები ხშირათ პირდაპირ ცის ქვეშ რჩებიან ხოლმე, ამიტომ აქ ძლიერ გავრცელებულია ციება და სიკვდილი. მუშაც დიდხანს ვერ სძლებს და ორი-სამი კვირის მუშაობის შემდეგ გარბის. ვაგონის დამტვირთველ მუშებს ყველა ამ უბედურების გარდა ემატება ისიც, რომ თვითონ ერთმანეთს თავს უხეთქენ წაკატებით, რადგანაც იქ მუშაობა „აკორდითაა“ და მისწრებაზეა საქმე; როცა ცარიელი ვაგონი დადგება „პლატფორმასთან“, აქ მუშებს შორის მთელი ომი იმართება.

აი საქმის ასეთმა ვითარებამ გამოიწვია ეს უმაგალითო გაფიცვა. დროც მარჯვეა: ახლა ქვა ბევრი გადის, დღეში ორ ვაგონამდე, ესე იგი 120,000—150,000-მდე ფუთი; ამიტომ მრეწველები პირველსავე დღეს შეწრიალდენ, და იმ დღესვე მთავრობის ნებართვით მოახდინეს კრება, რომელზედაც ამორჩეულ იქმნა კომისია; ამ კომისიას დაევალა იმის გამოკვლევა, თუ რა დაჯდება მუშების ყველა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და ამის მიხედვით, როგორ უნდა გადიდდეს ქვის ფასი; შემდეგ იგივე კომისია უნდა შეეკითხოს ექსპორტიორებს, თანახმანი არიან ისინი, რომ ამ გვარათ დაწესდეს ფასი ქვაზე. კომისიისთვის კრებას არ დაუვალებია რომელიმე მოთხოვნილების შეცვლა, მას მიანდვეს მხოლოდ გამონახვა იმ საშუალებებისა რომლებითაც შესაძლებელი იქნება მუშების ყველა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, და აგრეთვე ექსპორტიორების შეკითხვა. კომისიას ჯერ თავისი მუშაობა არ დაუმთავრებია და იმედია, რომ ის პირნათლათ და სწორად შეასრულებს კრების მონდობილობას.

ცხრა ივნისს ჭიათურას ეწვია ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი. როგორც გადმოგვცეს, მან უსაყვედურა მრეწველობის ბოქაულს ბ-ნ იოსელიანს, რატომ მკაცრი ზომები არ მიიღე გაფიცვის წინააღმდეგო. ის იმ ღამესვე წავიდა და შემდეგ ამბავი მოვიდა, რომ ჯარს გზავნის მუშების მაგივრობის შესასრულებლათო. ვნახოთ, როგორ დატვირთავენ სალდათები ორას ორმოცდა ათ ვაგონს დღეში; მაშინ შორაპანში და ფოთშიც ხომ დასჭირდებათ ჯარი. ასე რომ მთელი პოლკიც რომ დააბანდოს ამ საქმეზე, მთავრობა მაინც ვერაფერ სამსახურს გაუწევს ექსპორტიორებს. გაფიცული მუშები ასეთი ზომით სრულიადაც არ იტეხენ გულს და დარწმუნებული არიან სრულ გამარჯვებაში.

ორიოდე სიტყვა აქაურ ესერთა „ორგანიზაციაზე“. მათაც გამოუშვეს ფურცელი, რომლითაც ისინიც იწვევდენ მუშებს გასაფიცავათ. ამასთან მოითხოვეს ორმანეთნახევარი მუშისთვის დღეში, მაშინ როცა გაფიცვის ბიუროს ფურცელში იყო მოთხოვნილი ექვსი აბაზიდან ორ მანეთამდი. ამით ისინი ამტკიცებდენ, რომ სოციალდემოკრატები პოდრიადჩიკებს უჭერენ მხარს და არ უნდათ, რომ მრეწველებს რამე დააკლდეს მუშების სასარგებლოთ. ამასთანავე მოითხოვეს, რომ პოდრიადჩიკები ნუ კისრულობენ მუშების წინამძღოლობას, მუშები თითონ მოუვლიან თავის საქმესო; მაგრამ არავის უნახავს რომ ამ მოთხოვნილებებს ვინმე სხვა იცავდეს, გარდა ორი თუ სამი მრეწველისა; მუშები ყველანი გაფიცვის ბიუროს ხელმძღვანელობის ქვეშ მოქმედებენ. ასე რომ ამ დემაგოგიურმა საშუალებამაც ვერ უშველა ამ უდღეურ სოციალისტებს.

X

—

ნოქრების გაფიცვა სიღნაღში. ამ თვის პირველ რიცხვებში ადგილობრივმა სოციალდემოკრატიულმა ორგანიზაციამ გამოსცა პატარა ფურცელი, რომლითაც ნოქრებს გაფიცვისათვის მოუწოდებდა. 5 ივნისს გაფიცვა მართლა გამოცხადდა. დაიწყო მიტინგები, რომელსაც ხელმძღვანელობდენ სოც.-დემოკრატები. მოითხოვეს 8 საათის სამუშაო დღე, ჯამაგირის მომატება და სხვა პირობების გაუმჯობესება. ხაზეინები როგორც მოსალოდნელი იყო გაჯიუტდენ. გვაცალეთ, დაშნაკცაკანებს ვკითხავთ და როგორც გვეტყვიან ისე მოვიქცევითო. გაფიცვა მწყობრათ არ მიდიოდა, მაგრამ გამარჯვებით მაინც დაგვირგვინდა. მოიპოვეს 10 საათის სამუშაო დღე, ნაცვლათ 17 საათისა და სხვა. მიიღებიან აგრეთვე ძველათ დათხოვილი ამხანაგები. გაფიცვაში თავი „ისახელა“ ეორდანოვის ნოქარმა პაკამ, რომელსაც დაბეზღებასა და გაფიცვის სასაცილოთ აგდებას აბრალებენ.

ქიზიყელი

ამხანაგ იუსტინეს ხსოვნას

—

შეუბრალებელმა სიკვდილმა კიდევ ერთი მებრძოლთაგანი გამოგვტაცა ხელიდან. თითქმის ნახევარი წლის ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სრულიად ახალგაზდა ასოთამწყობი იუსტინე იესეს ძე ვადაჭკორია. იგი დაუძინებელი მტერი იყო არსებული უკუღმართობის და შეძლებისდაგვარათ ებრძოდა კიდეც სხვებთან ერთათ.

ამხანაგი იუსტინე გურიის სოფ. ჰანჭათიდან იყო. მიუხედავათ იმისა, რომ ღარიბი დედ-მამის შვილი იყო და ცხოვრების პირობები აიძულებდა მათზე ეფიქრა, ის მაინც აქტიურ მონაწილეობას იღებდა განმათავისუფლებელ მოძრაობაში. თუმცა მანამდისაც არ იყო გულზე ხელდაკრეფილი, მაგრამ უმთავრესათ 1901 წლიდან დაიწყო მოქმედება. ამ წლის პირველ დემონსტრაციაში შესაფერი ადგილი ეჭირა და ამავე ხანებში ბედმა არგუნა სულ ახალგაზდა იუსტინეს ციხის კედლებს შუა ყოფნა. ამის შემდეგ ყოველ წელიწადს უხდებოდა რამდენიმე თვით ციხეში ჯდომა. უკანასკნელათ კი 1905 წ. 29 აგვისტოს მოჰყვა ქალაქის გამგეობის ტრაგედიაში და რაღაც განგებით გადარჩენილებმა ციხეში ამოვყავით თავი. ეს მეოთხეჯერ თუ მეხუთეჯერ ეგემნა საბრალო იუსტინეს ციხის აუტანელი პირობები. ის მაინც არ იტეხდა გულს და სიტყვით თუ საქმით ემსახურებოდა სოციალდემოკრატიულ იდეების გავრცელებას ხალხში.

დეკემბრის რეაქციის გაბატონების შემდეგ განსვენებულის ნახვა აღარ მომიხერხდა. მახსოვს მხოლოდ ჩემს საყვედურზე—რატომ ერთხელ მაინც არ მნახა ციხეში, ხომ იცის აქაური ამბები-მეთქი, პასუხათ გულ-დაწყვეტილს ეთქვა: „მე თითონ სანახავათ ვარ, ის როგორ უნდა ვნახოვო“.

ავათ იანვარში გახდა. მიზეზათ, როგორც გადმომცეს, ასახელებდა შემდეგს: თფილისის რომელღაც ქუჩაზე მიდიოდა. იმ დროს შეეხეჩენ კაზაკები და სრულიად უმიზეზოთ დაიჭირეს და წაიყვანეს თავიანთ აფიცერთან. გზაზე შეაჩერებდენ თურმე და თოფის დამიზნებით მოკვლას ემუქრებოდენ. კარგა ხნის წვალების შემდეგ მიიყვანეს თურმე აფიცერთან. ისიც ისე მოექცა, როგორც კაზაკები. ბოლოს, როგორც

შეიძლება თუ არა მკითხველო ლოღიკისა და ფხიზელი აზრის დაურღვევლათ ამ „ძველითაობის ადამიანებს“ ვუწოდოთ მემარცხენეები და ჩვენ პარტიაში მოწინავე მიმდინარეობის წარმომადგენელი?

რასაკვირველია არა! ისინი არიან ძველი, შემცდარი რევოლიუციონური აზრების მიმდევარნი, რეაქციონერები რევოლიუციურ აზროვნებაში და დგანან არა მარცხნით, არამედ სოციალდემოკრატიის მარჯვნით—ამას ვითომც ეწინააღმდეგება მათი რევოლიუციონური ფრაზები. მაგრამ ეს ფრაზები სრულიათ არაფერს არ ამტკიცებს. ბლანკისტებსაც ასე უყვარდათ რევოლიუციონური ფრაზები, რისთვისაც ენგელსმა ისინი, შეადარა ანარქისტებს, რომლებმაც, მისი სიტყვით, რევოლიუციონურ ფრაზეოლოგიის დარგში შეასრულეს ყველა ის, რაც კი ადამიანს შეუძლია. ვიცით აგრეთვე, რომ საერთაშორისო მუშების ამხანაგობაში ბლანკისტები მარქსის წინააღმდეგ გამოდიოდენ. მარქსს ბრალს დებდენ, რომ ვითომც ის ამ ამხანაგობას ხელს უშლიდა შეეთვისებია რევოლიუციური, იგულისხმეთ: შეთქმულობითი,—ტაქტიკა. ეს გარემოება დღეს ვერავის გზა-კვალს ვერ აუბნევს, ეხლა ვინც კი იცნობს დასავლეთ ევროპის მუშათა მოძრაობას მათთვის აშკარაა, რომ საქმით რევოლიუციონერები იყვნენ მარქსისტები და არა ბლანკისტები. ქრისტემ სთქვა, რომ ყველა ის ვინც იმეორებს „უფალო! უფალო! სასუფეველში ვერ შევა“-ო, ჩვენ კი უნდა ვთქვათ, რომ ყველა ის ვინც გაჰკივის „რევოლიუცია! რევოლიუცია“-ო, რევოლიუციონურ საქმეებს არ აკეთებს.

ყველა ამის შემდეგ მე ვფიქრობ, რომ დროა, დიდიხანია დროა, რომ უკუვაგდოთ სიტყვები: „ბოლშევიკი“, „მენშევიკი“. ეს სიტყვები უწინაც უადგილო იყო, ვინაიდან ფრაქციების შეხედულებას და განსხვავებას არ აღნიშნავდა. ამ სახელწოდებას კიდევ ვურიგდებოდით სანამ ამ განსხვავებას ორგანიზაციული წვრილმანები შეადგენდა. ეხლა, როცა ფრაქციები, სხვადასხვა ნაპირზე დგანან, როცა ისინი ძლიერ დაშორდენ ერთი მეორეს სოციალისტურ მოქმედების მეთოდის შესახებ,—სწორედ დროა უკუვაგდოთ ძველი ტერმინოლოგია, და მოვიგონოთ ძველი სხოლასტიური წესი, რომელიც ამბობს, რომ სახელწოდება უნდა შეესაბამებოდეს საგანთა ბუნებასო და ერთ მხარეს უნდა ვუწოდოთ თავისი ნამდვილი სახელი ბლანკისტები და მეორეს კი მარქსისტები. ეს სახელები მათ დაიმსახურეს თავიანთ მისწრაფებათა საზოგადო ხასიათით.

სადაა „ორტოდოქსობა“?

ეს ხან ასეა, ხან ისე, როგორც ამბობენ ფრანგები.

ბლანკისტების ორტოდოქსობა ბლანკისტებთანაა, მარქსისტებისა კი მარქსისტებთან. საჭიროა ამის განმარტება?

გ. პლეხანოვი.

მძღვანელობდენ, უკეთ რომ ვსთქვათ—ქუჩის აჯანყების აფიცრები იყვნენ. მაგრამ ეს მამაცი აფიცრები პროლეტარიატის მომავალ მოძრაობას კი არ წარმოადგენდენ, არამედ წარსულს. როგორც წინ მიდიოდა პროლეტარიატის განვითარება, შეთქმულობა თავის მნიშვნელობას დაკარგავდა და მას ძლიერ მეტოქეთ უჩნდებოდენ მუშების საიდუმლო საზოგადოებანი, რომლებიც მიზნათ ისახავდენ პირდაპირ აჯანყებას კი არა, არამედ მუშათა ძალების შეკავშირებას და მათ კლასიურ თვითშეგნებას (იხილეთ მოწინავე წერილი „ისკრის“ 44 №-ში) ყველა ის რაც აქ ითქვა პირდაპირ ეხება ჩვენს დღევანდელ „მენშევიკებს“, რუსეთის რევოლიუციის ნამდვილ ალხიმიკებს.

იყო, ამტია თურმე სიცოცხლე და განთავისუფლა. ეს იმ დროს მოხდა, როცა ქუჩაში დაჭერილების ხოცვა ხშირი იყო კაზაკებისა და სალდათებისაგან. ამ გარემოებამ და მრავალმა სხვამ სამუდამოთ შეურყია ჯანმრთელობა და წუთისოფელსაც გამოასალმა უდროოთ. ბოლო დროს თავის სოფელში წავიდა, იქნებ მომიხდეს სოფლის ჰაერიო, მაგრამ ვერც ამან უშველა.

დიახ, დავკარგეთ ერთი მებრძოლ ამხანაგთაგანი, ერთი მებრძოლი კიდევ გამოგვაცალა ხელიდან საზიზღარმა თვითმპყრობელობამ, მაგრამ სიკვდილი ჩვენ ვერ შეგვაშინებს. პირიქით, თითეული ასეთ ამხანაგის დაკარგვა შურისძიების ალს გვინთებს გულში და გვავალებს მედგარ ბრძოლას თვითმპყრობელობის ნაშთებთან.

უდროოთ დაკარგულო ამხანაგო იუსტინე! შენი ხსოვნა იმათ ხსოვნასთან ერთათ, ვინც ბრძოლის ველზე დალია სული—დაუვიწყარი იქნება შენი ამხანაგების გულში.

სოლ. ვადაჭკორია.

რუსეთი

აგრარული მოძრაობა. ორიოლის გუბერნიის მცენსკის მაზრაში ძლიერი აგრარული მოძრაობაა. გლეხებმა აიკლეს ესაულ იურასოვკის მამული. „თქვენი მიწა—ჩვენიაო",—ეუბნებიან ისინი მემამულეს. პოლიცია არსად სჩანს.

პიატიგორსკის ახლო სტანიცაში შეტაკება მოხდა გლეხებსა და კაზაკებს შორის. არიან დაშავებულები. ქალაქიდან ჯარი გამოიწვიეს.

სოფ. ნოვოუკრანკაში (ელისავეტგრადის გუბერნია) მოხდა შეტაკება გლეხებსა და „სტრაჟნიკებს" შორის. სტრაჟნიკები პოლიციის შენობაში მიიმალენ. გლეხებმა ამ შენობას ქვები დაუშინეს. სტრაჟნიკებმა რამოდენიმეჯერ გაისროლეს თოფი ჰაერში. ამ დროს კოკისპირული წვიმა წამოვიდა და გლეხებიც დაიშალენ.

პოლტავის გუბერნიაში ძლიერ გახშირდა წვა. ისე დღე არ გავა, რომ რომელიმე მამული არ გადასწვან.

კოსტრომის გუბ. სოფ. ვოლოვსკოიში გლეხებმა დასწვეს აგურის ქარხანა.

პოდოლის მაზრის ერთ მამულში გადასწვეს ბეღლები. მაზრაში ძლიერი აგრარული მოძრაობაა. გამოიწვიეს დრაგუნები.

პოლტავის გუბ. ქალაქ კონსტანტინოგრადში ბაზრობაზე გლეხი ს.-დემ. გაზეთ „კოლოკოლ"-ს კითხულობდა; მას მიუახლოვდა ბოქაული, გამოგლიჯა ხელიდან გაზეთი და დაარტყა. იქ მყოფი გლეხები ძლიერ აღელვა ბოქაულის ქცევამ. ბოქაული გაიქცა. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა ისპრავნიკი ჩერქეზების თანხლებით და გლეხებს თოფები დაუშინა. გლეხებმა თავი მოუყარეს მეზობელ სოფლების გლეხებს. პოლტავიდან კაზაკები და ჩერქეზები გამოიწვიეს. არიან მოკლული და დაჭრილები.

პოგრომების მოლოდინში. ბელოსტოკს პოგრომის შესახებ ამბებმა ძლიერ ააღელვა სხვა და სხვა ქალაქების ებრაელი მცხოვრებლები. ამავე ცნობამ მადა გაუღვიძა „ჭეშმარიტ რუსებს" და სხვა ჯურის ხულიგანებს. ჩრდილო დასავლეთის ებრაელი მცხოვრებლები დიდ შიშში არიან, ნდობა დაკარგული მინისტრის და გუბერნატორების დაპირებას არავინ უჯერის. ან როგორ უნდა დაუჯერონ, როდესაც ამ დაპირებასთან ერთათ მრავალ ქალაქებში, პოლიციის ხელის შეწყობით შავრაზმელები ენერგიულ მზადებაში არიან. მაგ. ჟიტომირში 20 ივნისს პოლიციის ხელმძღვანელობით მოხდა ჭეშმარიტ რუსთა კრება. ლაპარაკობდენ უბნის ზედამხედველი და გოროდოვოები. უბნის ზედამხედველი ასახელებდა ებრაელებს მომავალ რევოლიუციის მიზეზით და იწვევდა დამსწრეთ მათ დასარბევათ. კრების ყოველივე წევრს დაურიგეს ას-ასი მოწოდება გასავრცელებლათ ამბობენ ეს კრება გუბერნატორის მიერ ნებადართული იყოო.

ასეთივე მზადება ხდება დვინსკში, რუჟევში, ზოლოტინოში და სხვ. მცხოვრებლები ევედრებიან დუმას გვიხსენით მომავალ უბედურებისგანო.

← პოლონურ სოციალისტურ პარტიის ენერგიული ზომები მიიღო განზრახულ პოგრომების განხორციელების წინააღმდეგ. ც. კ. და სხვა ორგანიზაციებსაც გამოუციათ 200 ათასი ცალი მოწოდება. ეს მოწოდებები იწვევენ მცხოვრებთ პროვაკატორების წინააღმდეგ ენერგიულ ბრძოლისთვის.

პეტერგოფში დროებითი მყუდროებაა. ბრძოლა აქეთ გრაფ ვიტეს და პობედონოსცევს. ბელოსტოკის პოგრომის შესახებ გრაფს ასეთი დეპეშა გამოუგზავნია: „ეს არის ცნობები მივიღე ბირჟიდან. კურსი დაეცა. საჭიროა დაუყონებლივ შეაჩეროთ პოგრომა. აქ ყველა აღელვებული და გაბრაზებულია თუმცა საქმეში ჩარევამდე არ მივა საქმე. ყველა ამას ცუდი გავლენა აქვს ჩვენს საქმეზე".

მიტინგი პეტერბურგში. 11 ივნისს ვიბორგის მხარეზე მოხდა მიტინგი ქუჩაზე. ილაპარაკა მუშამ ბელოსტოკის პოგრომზე. მან აღნიშნა, რომ რეაქციონური გაზეთები ავრცელებენ ცილის-წამებას ბელოსტოკის შეგნებულ მუშებზე, თითქოს ამ უკანასკნელებს პოგრომში მონაწილეობა მიეღოთ. იქვე წაკითხულ იქნა წერილი ბელოსტოკიდან, რომელშიაც მუშები სთხოვენ საზოგადოებას ნუ დაუჯერებთ ცრუ ცნობებს და აღნიშნავენ, რომ შეგნებულ მუშების წყალობით გადარჩენილ იქნა დარბევიდან სამი ქუჩა.

ღია წერილი

გაზეთ ,,შრომის'' ,,პუბლიცისტს'', ბ-ნ ადამაშვილს:

სანამ ჩემი ძმა, პეტრე დონდაროვი, რომელიც ამ ჟამათ აქ არ არის, შესაფერ პასუხს მოგცემთ (თუ კი თქვენთვის მოიცლის) თქვენგან მაზე გამოგონილ სიტყვებზე (გაზეთ „შრომის" 37 №-ში), რომლებსაც იმავ გაზეთის 57 №-ში ხან უკან იღებთ (ისიც „ლამპარი"-ს რედაქციის წინადადებით), ხან ისევ სტოვებთ, მე არ შემიძლიან ერთი შეკითხვა არ მოგცეთ:

თუ კი ჩემმა ძმამ, პეტრე დონდაროვმა, მართლა გორელ მატრაბაზივით შემოგკვეხათ, როგორც თქვენ წერილიდან გამოდის, (გაზეთ „შრომის" 37 №-ში): „თუ სათათბიროში ვინმემ ჩვენთვის ავტონომია მოითხოვა, მე წამოვდგები და გამოვაცხადებ: იმ 300,000 კაცმა, რომელმაც მე გამომგზავნა აქ, დამავალა ხმა მაღლა გვნაცხადო, რომ მათ ავტონომია არა სურთო".

ვიმეორებ: რატომ მაშინვე არ გამოაცხადეთ ამ სიტყვების ავტორი? თქვენ რომ ეგრე მოქცეულიყავით, ბევრათ უფრო პატიოსნური იქნებოდა, რადგან ჩემი ძმა მაშინვე გიპასუხებდათ და სათავეშივე მოისპობოდა მაზე გავრცელებული ჩუმ-ჩუმი ჭორი. ჩუმ-ჩუმი იმიტომ, რომ, მე დარწმუნებული ვარ, როცა ვინმე გკითხავდათ: „ვინ გითხრა ეს სიტყვებიო?", თქვენ უპასუხებდით—„პეტრე დონდაროვმა"-ო!... და ამ დროს კი ამ უკანასკნელმა არაფერი იცოდა რა ხმები დადის მაზე! რომ პეტრე დონდაროვი ზემოთ მოყვანილ სიტყვებს, მეტადრე ჩვენგან ხაზ გასმულებს, ვერასოდეს ვერ იტყოდა, ამას ნათლათ მოწმობს ისიც, რომ მაშინვე (20 მაისს, უფრო ადრეც) მას უკვე კატეგორიული უარი ქონდა ნათქვამი მისი დეპუტატობის კანდიდატურის წამოყენებაზე, რაც თვითონ ქუთაისელ სოც.-დ. პარტიას შეუძლიან შეამოწმოს (თქვენ ამ ფაქტის ულოდინარობით სწერთ, რომ ის აღარ აირჩიეს... მაგრამ ეს ფუქსავატია).

მართალია, „ლამპარი"-ს რედაქციის მოთხოვნით თქვენ (გაზეთ „შრომის" 57 №-ში) ტყდებით ცილის წამებაში და ასე სწერთ: „უნდა გამოვტყდე და ვაღიარო, რომ დონდაროვს არ უთქვამს, ვითომ 300,000 კაცმა დაავალა მას ავტონომიაზე უარის თქმა"... მაგრამ, თავის გასამართლებლათ, იქვე ასე უცნაური ლოღიკით დასძენთ: „მე ამ სიტყვების დასტურის უფლებაც მქონდა. აი, რატომ: კამათის დასასრულს მე ვკითხე ბ-ნ დონდაროვს: განა იმ ხალხმა, რომელმაც სოც. დემოკრატები აირჩია და ფედერალისტები გააშავა, ამით ის აზრი გამოსთქვა, რომ მას ავტონომია არ უნდა? „სოც.-დემოკრატების არჩევით ხალხმა უარი სთქვა ავტონომიაზე"—მივიღეთ პასუხათ.

ახლა მკითხველისთვის მიგვინდვია: თვითონ განსაჯოს, რამდენათ ერთია ამ წერილის ზემოთ „შრომის" 37 №-ში მოყვანილი სიტყვები და ეს უკანასკნელი პასუხი პეტრე დონდაროვისა?

ნ. დონდაროვისა.

პროტესტი.

გაზ. „ტრუდ"-ში მოთავსებულია შემდეგი პროტესტი მღვდ. ანტ. პაპასკირის წინააღმდეგ:

„ჩვენ, ქვემორე ამის ხელის მომწერნი, გთხოვთ რედაქციას, დაგვიბეჭდოს ეს წერილი. სოფ. ახუთის (ქუთაისის გუბ.) მღვდელს, ანტონ პაპასკირს, რეაქციის გამარჯვების შემდეგ შეუდგენია ეგრეთ წოდებული „შავი რაზმი". ეს „რაზმი", რომელიც პაპასკირის ხელმძღვანელობით მოქმედობს, რასაკვირველია, ლეგალურათ აგზავნის თავის აგენტებს სოფლებში „არა კეთილ-საიმედო" პირების მოსანახათ და დასაჭერათ, ან და დასარბევათ, ერთის სიტყვით, როგორც თვითონ მღვდელი, ისე მისი „რაზმი" ყოველივე ზომებს ხმარობენ შეგნებული გლეხების წინააღმდეგ. ბევრი ჩვენი ამხანაგები სხედან დღეს ციხეში და ბევრიც ელის დაჭერას ამ ვაჟბატონების ეშმაკობის და „დანოსების" მეოხებით. ჩვენ ახლად ჩამოსულებმა, ჩვენი თვალით ვიხილეთ მათი თარეშობა, ზოგმა კი წერილობით გავიგეთ. ამიტომ ჩვენ შევიკრიბეთ და ყველა ფაქტების განხილვის შემდეგ დავადგინეთ, რომ ამიერიდან აღარ შეგვიძლია დავრჩეთ მუნჯ-მოწმეებათ ყოველივე ამ საზიზღრობის, რისთვისაც გაზეთის საშუალებით ვუცხადებთ ზიზღს შავრაზმელ მღვდელს და მის დამქაშებს, ხოლო ჩვენ დატანჯულ ამხანაგებს ვუძღვნით ამხანაგურ სალამს.

ხელმოწერილია 67 კაცის მიერ.

ბოიკოტის ახსნა. *)

17 ივნის, 1606წ. შევიკრიბეთ ჩვენ, თფილისის წვრილ ვაჭართა ბიუროს წევრები, თფილისის ლიმონათის ქარხნების წარმომადგენლის ალექსანდრე აკოფოვის თანდასწრებით, ვიქონიეთ მსჯელობა ლიმონათის ფასების შესახებ და დავადგინეთ შემდეგი: ლიმონათი გაიყიდოს ძველ ფასებში და ძველებურ წესით; ხოლო რაც შეეხება გაფუჭებულ ლიმონათს, ყველა ლიმონათის მოვაჭრემ მისი ხელმოწერილი ბარათი უნდა გაატანოს ქარხნიდან ლიმონათის მომტანს, თუ რამდენ ბოთლს და რა და რა წესით ატანს უკან გაფუჭებულს.

ამ შეთანხმების შემდეგ ბიურომ დაადგინა, ახსნას ბოიკოტი თფილისის ლიმონათის ქარხნებს. დღეიდან ბოიკოტი ახსნილია.

თფილისის წვრილ ვაჭართა ბიურო.

წერილები რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

შარშან, ოქტომბერში, ქ. კრასნოვოდსკაში იქაურ ქართველთა შორის შევკრიბე ორმოცი მანეთი კაზაკებისაგან გადამწვარ გურულების სასარგებლოთ, მაგრამ ამ ფულის გადაცემა დანიშნულებისამებრ დღემდის დაგვიანდა სხვა და სხვა მიზეზებისა გამო. დღეს კი შეუბრალებელი რეაქციის წყალობით მთელი საქართველო აკლებულია. ამიტომ მე არ შემიძლია დასახელებით მივაწოდო რომელიმეს, ხოლო უმორჩილესათ გთხოვთ თქვენ თვითონ გადასცეთ „დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტს". აქვე ვგზავნი შემომწირველთა სიასაც: სიმონ უჯმაჯურიძემ 3 მ., ერმალო ალავიძემ 3 მ., ნესტორ სიხარულიძემ 3 მ., მერაბ ბერაძემ 5 მ., სიმონ ბერაძემ 3 მ., გიორგი მაისურაძემ 1 მ., სიმონ ლექვთაძემ 1 მ., ნოე გეგელაშვილმა 3 მ., ალექსანდრე ლეჟავამ 3 მ., მირზაევმა 3 მ., სპირდონ ჩიმაკაძემ 3 მ., გიორგი ფირცხალაურმა 3 მ., ნ. ზალდასტანოვმა 3 მ., მ. ჩ.—ძემ 3 მ.

მ. ჩხაიძე.

—

წარსული წლის მეორე ნახევარში იკრიბებოდა ფულები ბათუმის ყოველ დაწესებულებებში, როგორც მოქალაქეებიდან ისე რკინის გზის მოსამსახურეებიდანაც დაზარალებულ გურულთა სასარგებლოთ. მაგრამ ეხლა, როგორც გავიგეთ, რამდენიმე მათგანი არ მისულა დანიშნულ ადგილზე და არც არის გამოცხადებული არც ერთ გაზეთში შემომწირველთა გვარები და ფულის რაოდენობა. ამისთვის მოვაგონებთ ფულის შემკრებლებს, რომელთაც არ გადაუციათ დანიშნულებისამებრ და არც გამოუცხადებიათ არც ერთ ორგანოში და წინადადებას ვაძლევთ მათ დაჩქარებით გადასცენ ფულები და შემომწირველთა სიაც ადგილობრივ გაზეთში გამოსაცხადებლათ. წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხს მოსთხოვს მათ საზოგადოება.

ს. გურული,

—

გთხოვთ უმორჩილესათ, თქვენს პატივცემულ გაზეთის საშუალებით შეძლება მომცეთ დაშნაკცაკანების პარტიას შევეკითხოთ არის თუ არა მათ პარტიაში ვასო მოსესოვი, რომელიც პარტიის სახელით მუშებს ეგრეთ წოდებულ „რიადჩიკებს", და მათგან მეც როგორც ქართველებს გვიცხადებს მივატოვოთ, კარაკლისი (ყარსის შტოა) და წავიდეთ. თუ დაშნაკცაკანებს, ამ გვარი რამე განუზრახავთ, გთხოვთ შეგვატყობინონ გაზეთის საშუალებით, და აქ მყოფი ორიოდე ქართველები, დაუყონებლივ მივატოვებთ კარაკლისს, და თუ ამნაირი განზრახვა დაშნაკცაკანებს აზრადაც არ მოსვლოდეს ესეც გაზეთით გვაცნობონ, და მაშინ ჩვენ საქმე გვექნება პირადათ ვასო მოსესოვთან და არა პარტიასთან.

ტრიფონ ჯაფარიძე.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო).

16 ივნისი.

პეტერბურგი. „რუსკი ინვალიდი" ამბობს, რომ გაზეთ „სევერნი კავკაზ"-ში მოყვანილი ცნობა ბაშკადიკლიარის ბატალიონის სალდათების გაფიცვის შესახებ ტყუილია. თელავში გაფიცვა არ ყოფილა.—სათათბიროს წევრმა ბოროდინმა სახალხო პარტიის კრებაზე სათათბიროს შედგენილობის შესახებ წაიკითხა შემდეგი: სარწმუნოებით სათათბიროს წევრები განიყოფებიან: მართლ-მადიდებელნი—339; სტაროობრიადცები—4; კათოლიკები—63; ლიუტერანები—14; იუდეველები—11; მაჰმეტანები—14; ბუდდისტები, ბაპტისტები და თავისუფალი რწმენის—თითო; განათლებით: უმაღლესი—181; საშუალო—62; დაბალი—111; შინაური—84; უწიგნველი—2; ეროვნებით: ველიკორუსები—265; მალოროსები—62; ბელორუსები—12; პოლონელები—51; ლიტველები—10; ესტონელები—2; ლატიშები—6; ნემცები—4; თათარ-ბაშკირები—4; ებრაელები—13; მორდვინები—2; ყირგიზები, ჩაჩნები, კოტიაკები, ბოლგარები, ჩუვაშები და კალმიკები—თითო. წოდებით: აზნაურები—164; საპატიო მოქალაქენი—9; სასულიერო წოდების—14; ვაჭრები—11; კაზაკები—12; მეშჩანები—20; გლეხები—240; რომელთაც წოდება არ არის ნაჩვენები—14; პროფესიით: მემამულეები—65; მრეწველი—2; ვაჭარი—24; სახლის-პატრონი—1; მიწის-მუშა—111; მუშები—25; კერძო სამსახურში მყოფნი—15; ქალაქის და საერობო სამსახურში—61; სახელმწიფო—15; პროფესორები—10; პრივატ-დოცენტები—4; მასწავლებლები—23; ექიმები—19; ვექილები—38; ინჟინრები—5; რედაქტორები—6; ლიტერატორები—7; მღვდლები—14; მიწის მზომლები, ჩერტიოჟნიკები და სტუდენტები—თითო; მშრომელთა ჯგუფი შედგება შემდეგი პარტიების წარმომადგენლებისაგან: სოციალდემოკრატები—10; ს.-რევოლიუციონერები—2; გლეხთა კავშირის—9; პარტიის გარეშე სოციალისტები—7; რადიკალი—1; თავისუფალი მოაზრე—2; კადეტების მემარცხნე—2; კადეტების მომხრე—18; ავტონომისტები—8; უპარტიო—21 და სხვა—27.

პოლტავა. სოფელ დიკანკაში სამმა გლეხმა ძალზე სცემეს ბოქაულ მედრონიცს, წაართვეს ხმალი და გაიქცნენ.

მოსკოვი. დილის თერთმეტ საათზე, უბნის ზედამხედველ იგნატიევს პოლიტიკური ტუსაღი ვინოგრადოვი ექიმთან მიჰყავდა, როცა ისინი კუშნარევის სტამბას გაუსწორდენ, მათ წამოეწია ორი ახალგაზდა რევოლვერით, იქვე მოკლეს უბნის ზედამხედველი, განთავისუფლეს ტუსაღი და გაიქცენ.

17 ივნისი

ირკუტსკი. გამოაქვეყნეს ქალაქის ამომრჩეველთა სიები. არჩევნების წინასწარ კრებებზე სოციალ-დემოკრატებს და კადეტებს დიდი შეჯახება აქვთ.

სევასტოპოლი. მატროსების ნოემბრის აჯანყების საქმე დანიშნულია განსახილველათ 4 ივნისს.

ადესა. გამოვიდა „რუს. საზოგადოების" მესამე გემი. გემებს ჯარი იცავს.

ლონდონი. „ტაიმსი" ამბობს, რომ რუს სოციალისტების განცხადება სათათბიროს მოქმედების შესახები იმის ნიშანია, რომ ისინი სათათბიროს დამფუძნებელ კრების პირველ საფეხურათ სთვლიან. ეს დიდი მნიშვნელოვანია ინგლისისთვის, რომელიც ემზადება მიეგებოს სათათბიროს წარმომადგენლებს, როგორც პარლამენტების კონფერენციის წევრებს. გაზეთს იმედი აქვს, რომ წარმომადგენლები მკვახე სიტყვებს არ იხმარებენ, რაც ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს ინგლისელ ხაზეინებზე.

პეტერბურგი. გაზეთ „კურიერ"-ის რედაქტორ-გამომცემელი ცედერბაუმი და მისი თანამშრომელი იორდანსკი სამართალში მისცეს ცილის წამებისათვის, რომელიც იმაში გამოიხატა, რომ მათ გაზეთ „რუს"-ში წერილი მოათავსეს და მოსკოვის ნაწილის ბოქაულს სრულიად უსაბუთოთ შეეხნენ. თანამდებობის პირთა დანაშაულობის გამომძიებელ პარლამენტის კომისიამ დეპუტატ ხრისტოფსკის დაავალა შეადგინოს სამხედრო მინისტრისადმი შეკითხვა, იმ აფიცრების შესახებ, რომლებიც სათათბიროს წინააღმდეგ აგიტაციას ეწეოდენ; დეპუტატ შიდლოვს—სამხედრო წესების უკანონოთ შემოღების შესახებ პოლშაში; დეპუტატ აკუბსონს—გლეხთა კავშირის წინააღმდეგ მისაღებ ზომების შესახებ. კომისიამ უკანონოთ სცნო გზათა სამინისტროს მოქმედება, რკინის გზის იმ მოსამსახურეთა დათხოვნისათვის, რომლებმაც საერთო გაფიცვაში მონაწილეობა მიიღეს. კაზაკების მხეცურ მოქმედების შესახებ შეკითხვა, სიმბირსკის გუბერნიაში აგრარულ მოძრაობის ჩაქრობის დროს, კომისიამ საჩქაროთ სცნო. პარლამენტის აგრარულმა კომისიამ პირველათ შემდეგი კანონ-პროექტები უნდა შეიტანოს: 1) მიწების რეფორმების ძირითადი დებულებანი; 2) ადგილობრივ მიწების გამწესრიგებელ დაწესებულებათა შესახებ; 3) იჯარის მოწყობა; 4) სოფლის მუშების ინტერესების კანონმდებლობითი დაცვა. და შემდეგ სამეურნეო კრედიტის შესახებ.—პარლამენტის კომისიამ უკვე შეიმუშავა პირთვნების ხელშეუხებლობის კანონპროექტი.—უმაღლეს ბრძანებით ლეიბ-გვარდიის პრეობრაჟენსკის პოლკის პოლკოვნიკი თავ. ტრუბეცკოი, კაპიტანები, ფლიგელ-ადიუტანტი თავ. ობოლენსკი, მაყუროვი, მახაილოვი, სტარიცკი და პოდპორუჩიკები ფონდერი და ესაულოვი გადაყვანილ არიან განსაკუთრებულ ქვეითა ჯარის ბატალიონში, ობოლენსკის თან ფლიგელ ადიუტანტის წოდებაც ჩამოერთვა.

პეტერბურგი. სახალხო პარტიის პარლამენტის ფრაქციამ დაასრულა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ კანონპროექტის განხილვა და მისი საბოლოოთ შემუშავება დეპუტატ ოლოსს მიანდო.—მებულკეების გაფიცვა დღეს გათავდა. ყველა მოთხოვნები დააკმაყოფილეს.—„რუსკი ინვალიდი" უარს ყოფს გაზეთ „გოლოს"-ის ცნობას სემიონოვის პოლკში არეულობის შესახებ. არეულობა არ ყოფილა და გაზეთების კითხვას სალდათებს არავინ არ უშლის.—გაზეთ „დვადცატი ვეკ"-ის ცნობა ვითომც სემიონოვცებს გენერალ მინისთვის ბოიკოტი გამოეცხადებიოთ და კრასნოე სელოში მიტინგი გაემართოთ, რომელსაც აუარებელი სალდათები დაესწრენო, ტყუილია. მიტინგს ოთხი სალდათი, ორი გარეშე კაცი და ორი ქალი დაესწრო. ყველანი დაიჭირეს.

18 ივნისი.

ბელასტოკი. 16 ივნისს გენერალ-გუბერნატორის სახლის ახლო გოროდოვოიმ რევოლვერი გაისროლა. სროლის ხმაზე მივიდა უგლიცკის პოლკის აფიცერი, რომელსაც მოახსენა გოროდოვოიმ, რომ ებრაელები ისევ ბუნტობენ და გვესვრიანო. აფიცერი დარწმუნდა, რომ თვითონ გოროდოვოიმ გაისროლა და დაატუსაღა ის. ეს ამბავი გენერალ-გუბერნატორს შეატყობინეს.

პავლოგრადი. ბევრმა ქარხნებმა შეატყობინეს ვაჭრებს, რომ პოგრომების შიშით ნისიათ გაყიდვას სპობენ.

პოლტავა. გუბერნატორმა გამოუცხადა მცხოვრებლებს, რომ უკეთუ არეულობა მოხდა იარაღით ჩავაქრობთო.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით მოხდა კერძო თათბირი—მინისტრის ამხანაგ კრიჟანოვსკის და მაკაროვის და დეპარტამენტების დირექტორების არბუზოვის და ვლადიმიროვის თანდასწრებით. განიხილეს სინიდისის თავისუფლების საკითხის პროექტი, რომელიც სათათბიროში შეიმუშავა. პროექტი ზოგიერთ მუხლების შეცვლით მიიღეს.—ლეიბ-გრენადერის სალდათების წერილი „ნოვოე ვრემაა"-ში, რომლითაც ისინი უარს ყოფენ „ნაშა ჟიზნ"-ში მოთავსებულ ცნობას, ვითომ გრენადერებს პეტერბურგში მიტინგი გაემართოთ, შემთხვევით ხელმწიფეს დაენახოს ისინი და წასულიყოს მათკენ, მის დანახვაზე სალდათები და აფიცრები კაზარმებისკენ გაქცეულიყვნენ. ხელმწიფემ დაათვალიერა სალდათები და მადლობა გამოუცხადა მათ ერთგულ სამსახურისთვის. იმავე დღეს გრენადერები საუზმეზე მიიწვიეს სასახლეში. ეს ამბავი ახალ პეტერბურგში მოხდა.

მოსკოვი. ჩერნიშოვის პარფიუმერიის ქარხნის კანტორაში შევიდა ორი ნიღაბ ჩამოფარებული უცნობი, მოიტაცეს კასიდან 3000 მან. როცა მათ უკან გამოუდგენ, ბოროტგამზრახველებმა ყუმბარა გადმოაგდეს, რომელიც არ გასკდა. ერთი ბოროტგამზრახველი დაიჭირეს. ის ფაბრიკის კანტორშჩიკი აღმოჩნდა.—ნოვოსპასსკის ხიდთან მუშების ჯგუფმა სროლა ასტეხა. გოროდოვოიმ ორი მათგანი დაიჭირა.

ვარშავა. ღამის ორ საათზე სამი საერობო დარაჯი დასჭრეს.

რიაზანი. ხლუდოვის ფაბრიკის მუშების გაფიცვის გამო, გადასწყვიტეს ფაბრიკა დახურონ და მუშები დაითხოვონ.

სიმფეროპოლი. (თფილ. კორესპ.) პოგრომების და აჯანყების შესახებ გავრცელებულ ხმების წინააღმდეგ მიღებულმა ზომებმა ხალხი დააწყნარა.

ბათუმი. ხალხი ძლიერ დაშინებულია იმ პროვოკატორულ ფურცლების გამო, რომლითაც იწვევდენ კაზაკებს ქართველების, ებრაელების და სომხების დასარბევათ. გუბერნატორმა და კომენდანტმა მცხოვრებთა დეპუტაციას დამამშვიდებელი პასუხი მისცა. იარაღის ტარება გუბერნატორმა აკრძალა.

ვილნო. (თფილ. კორეს.) გუშინ დუკინის თხოვნით მის საკანდიტეროში ჩაუსაფრდნენ იმ უცნობებს, რომლებიც იქ უნდა მისულიყვნენ ფულების წასაღებათ. ღამის ათ საათზე პოლიცელებს ნიშანი მისცეს და ისინი თავს დაესხნენ 12 ებრაელს. დუკინმა ყვირილი დაიწყო ეს ისინი არ არიანო და უნდა განთავისუფლდნენ. ამ არეულობით ისარგებლეს ბოროტგამზრახველებმა და გაიქცენ, თან რევოლვერები გაისროლეს. დასჭრეს უბნის ზედამხედველი და ორი გოროდოვოი. ნემეცების ქუჩაზე დაიჭირეს ერთი მათგანი, ებრაელი იზრაელ მაზილი 19 წლის, რომელმაც დაჭერის დროს სასიკვდილოთ დასჭრა გოროდოვოი.

რედაქტორ-გამომცემელი კ. თავართქილაძე.

---

*) ჩვენს გაზეთში ბოიკოტის შესახებ დაბეჭდილი წერილი ადგილის უქონლობის გამო დაგვიანდა. ამიტომ ბოიკოტის ახსნის შემდეგ დაიბეჭდა.

რედაქცია.

ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა". ტფილისი, მახვილის ქუჩ, 65.